ერთიანი თავისუფლების გზით – აერთიანი თავისუფლებისაკენ!
აერთიანი თავისუფლების გზით – ერთიანი თავისუფლებისაკენ!

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 14 (1452) 14-21 მაისი, 1996 წელი

საქმე



ედუარდ შევარდნაძე:

...თუ კი სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მე შეწყალების ჩემს უფლებას გამოვიყენებ

მე-5 გვ.

ვინ იყო ვინ?

ჯაბა იოსელიანი

აქა ამბავი იმისა, თუ როგორ გაიქცა ჯაბა პირველად ციხიდან...

მე-2 გვ.

მე-11 კლასელებს, აბიტურიენტებს იკითხეთ ჩვენი გაზეთის მეექვსე გვერდი!

ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის მომავალი მემატიანისათვის

ჯაბა იოსელიანი

გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ „საქართველო“ №13

მას შემდეგ, რაც ახალი რუბრიკა შემოვიღეთ გაზეთში — „ვინ იყო ვინ“, სატელეფონო ზარები არ წყდება.

იოსელიანის მომხრენი ცალკერძ გვსაყვედურობენ, მოწინააღმდეგენი კი დადებითი წერილების გამო არიან აღშფოთებულნი.

ძვირფასო მკითხველო, ეს რუბრიკა თავისი ხასიათით, კვლავ გვინდა გავიმეოროთ, ასეთი გახლავთ — მომავლის მემატიანეს ვუტოვებთ ერთად დალაგებულ მასალას იმ პირებზე, რომელთაც ჩვენი ქვეყნის მართვის საჭე ეპყრათ ხელთ ბოლო ხანებში, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან თანამედროვეობისა და ისტორიის წინაშე.

ამდენად, აქ გამოთქმულ მოსაზრებებს რედაქციის პოზიციასთან ნურავინ გააიგივებს. სხვათა შორის საინტერესოა არა მხოლოდ ის, ვისზე წერენ რესპონდენტები, ისიც საინტერესოა, ვინ წერს. ვინ როგორ ფიქრობს, ესეც ისტორიას რჩება. და კიდევ ერთი, ზოგიერთ ჩვენს ცნობილ „მოღვაწეს“ ციხეში გამოკეტილი ჯაბა იოსელიანისა მაინც ეშინია და ინტერვიუზე უარს აცხადებს... ამ შიშს შეიძლება აქვს კიდეც თავისი საფუძველი...

ერთი სიტყვით, ვისაც სიტყვას ვაძლევთ, მათ საუბარს ჩვენს პოზიციასთან ნუ გააიგივებთ.

ბატონ ჯაბა იოსელიანის როლზე ბოლო წლების ისტორიაში ჩვენ არაერთგზის გამოგვიხატავს სათქმელი, რომელიც მკვეთრად უარყოფითი გახლავთ.

ლილი იოსელიანი:

ჯაბა იოსელიანის და

როგორ გაიქცა ჯაბა პირველად ციხიდან...

— პირველად რისთვის დაიჭირეს?

— ბიჭებს რომ ერთად ექეიფათ.

— პურ-მარილის ფული რომ ეშოვნათ?

— დიახ. ფულის საშოვნელად რაღაცა მოიპარეს, კარგად აღარც მახსოვს. მაშინ მოგეხსენებათ საჭმელ-სასმელი ძნელად იშოვნებოდა. მაინც ძირითადი რადიომიმღების მოპარვა იყო, რომელიც არ ჩაბარეს.

— ამის გამო დაიჭირეს?

— ამის გამოც და რაღაც სხვის გამო. ეს რადიომიმღები მათი უფროსკლასელის იყო.

იმ პერიოდში ჯაბა მუსიკაზე დადიოდა და გაკვთილიდან სახლში აღარ დაბრუნდა. მერე ბინაც გაგვიჩხრიკეს. ეს თუ არ ვცდები 1943 წელს იყო. ამ დროს ჯერ ძმა, შემდეგ და გარდაგვეცვალა. ძმას ფენომენალური სმენა ჰქონდა და მუსიკასაც თხზავდა. მისი სიკვდილის შემდეგ ჯაბამ მუსიკაზე გული აიყარა. შეიძლება ითქვას, ამ პერიოდიდან სახლიდან გავიდა და მეტწილად ამხანაგებთან იყო. ეს წრე ძირითადად რეპრესირებულ ოჯახთა შვილებისგან შედგებოდა.

— ბატონი ჯაბას წარსულის შესახებ რომანტიკული ელფერის ლეგენდები დადის. ამიტომ საინტერესოა გვიამბოთ, როგორ გაიქცა ციხიდან პირველად?

— 9 თვე გაუსამართლებელი იჯდა. მოგეხსენებათ, ჭურდები ყველას ჩაგრავდნენ. ჯაბაც გაძარცვეს. მან რაღაცნაირად თავი დაიცვა. დედაჩემმა მისი მოკვლის ამბავიც კი გაიგო, სასამართლოზე რომ არ გამოცხადდა, შეიცხადა კიდევაც. მერე შეგვატყობინეს პატიმართა გაქცევის შესახებ.

ეს ამბავი ჯაბამ ზერელედ მიამბო. სასამართლოზე წასვლის წინ პატიმრებმა ტანსაცმელი ათხოვეს. ღილით პატიმრები ტუალეტში ჯგუფ-ჯგუფად გაჰყავდათ. მათ კარების დაკეტვაზე ყური შეჩვეული ჰქონდათ, ერთხელაც შენიშნეს, რომ კარები არ დაიკეტა. ჯაბამ და ოთარ ჭავჭანიძემ ერთმანეთს გადაულაპარაკეს — მოდი წავიდეთო. ორივენი გარეთ გამოვიდნენ. იფიქრეს, თუ გაგვაჩერეს, ვიტყვით კარი ღია იყოო. დილაუთენია დარაჯები თვლემდნენ. ზოგი ნამძინარევი იყო და კარგად ჩაცმული ბიჭებისათვის ყურადღება აღარ მიუქცევიათ, შეიძლება იურისტებიც ეგონათ.

— ნუთუ, ასე იოლად დააღწიეს თავი ციხეს, საიდანაც გაქცევა ვერავინ მოახერხა?

— ერთი სიტყვით, გარეთ აღმოჩნდნენ. საღამოობით ქუჩებში პატრული დადიოდა და ერთი კვირა სხვადასხვა სადარბაზოებში იმალებოდნენ. მერე მე მომაკითხა, იქნებ რაიმე მიშველოო. ორივენი ჩემი სკოლის ახლო მეგობართან, ელიკო გელდიაშვილთან მივიყვანე, რომელიც მარტო ცხოვრობდა. ელიკოსთვის ჩვენი ვიზიტი იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა (თანაც ყველაფერი იცოდა), რომ გული შეუწუხდა. ჯაბამ დარჩენაზე უარი თქვა და უკან გამოვბრუნდით. გზაში, ჩემი თანაკურსელი ოთარ ანდრონიკაშვილი შეგვხვდა, რომელიც ელიკოსთან ახლოს ცხოვრობდა. მან ჯაბა იცნო და

ოთარ ჭავჭანიძე და ჯაბა იოსელიანი. 1944 წ. რამდენიმე თვეში დაიჭირეს. ორივე ერთად გაიქცა ციხიდან.

საკუთარი ბინა შემოგვთავაზა. ერთი კვირის შემდეგ, ჩემმა მეგობარმა შოთა ქარუხნიშვილმა, ჯაბას თავისი პასპორტი მისცა და მისი მეგობრის ნათესავთან ქალაქ ბოროვიჩში გაგზავნა. ეს მეშახტეთა ქალაქი მოსკოვსა და ლენინგრადს შორის მდებარეობს. იქ შახტებში, ჯაბა მუშად 4 წელი მუშაობდა. შახტების უფროსს იგი ძალიან მოეწონა. ღამის სკოლა დაამთავრებინა. რეკომენდაცია გაუწია და ლენინგრადში ჩაჰყვა სამთო-საინჟინრო ფაკულტეტზე მოსაწყობად. ჯაბას სამთო საქმე არ აინტერესებდა და უნივერსიტეტს მიმართა. უთხრეს, რომ აქ მოღვაწეობდა ქართველი პროფესორი კარპეზ დონდუა და იქნებ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე მოეწყოო; ბატონმა კარპეზმა შესთავაზა მეორე კურსზე დასმა, თუკი თემას წარადგენდა. შრომის ჩაბარების შემდეგ, ცნობილ აკადემიკოსს, არაბისტ კლიჩევსკის თემა ისე მოეწონა, რომ უთქვამს — ამის დამწერში შერწყმულია ბავშვური გულუბრყვილობა და გენიოსის ალღოო და ჩარიცხეს კიდევაც.

— შემდგომი მოვლენები როგორ განვითარდა?

— მე-5 კურსზე გადასვლისას კი გაუთვალისწინებელი შემთხვევა მოხდა. მოგეხსენებათ, ლენინგრადი მკაცრი საპასპორტო რეჟიმის ქალაქი იყო. ჯაბა რამდენჯერმე პატრულმა გააჩერა და ჩაუწერლობის გამო გააფრთხილა — გაგასახლებთო. მოხდა ისე, რომ ლენინგრადში მივლინებით ჯაბას პასპორტის ნამდვილი მფლობელი შ.ქარუხნიშვილი ჩავიდა. მაშინ სასტუმროდან ანკეტაცა და პასპორტიც მილიციის მთავარ სამმართველოში მოწმდებოდა. პასპორტების გასინჯვისას ერთ მილიციელს გვარი ეცნო. სურათიც სხვა აღმოჩნდა. ალბათ მიხვდა რაშიც იყო საქმე, მაგრამ იქ თურმე არაფერი უთქვამს. მოგვიანებიც, ნევის პროსპექტზე წიგნის სახლიდან გამოსულ ჯაბას სწორედ ის კაცი შეხვდა. მან დიდი მისალმებით ჭკითხა ჩაწერის შესახებ. კაფეშიც შეიპატიჟა და შეკვეთის მიცემის შემდეგ ერთი წუთით გავიდა. ჯაბას ეჭვი აღეძრა, მაგრამ გასვლამდე მანქანა მოვიდა და დაიპატიმრეს.

ჯაბა ბრალდებას ჯერ უარყოფდა. მაგრამ როცა უთხრეს დაგაპირისპირებთო, სიმართლე აღიარა. გარკვევამდე მათაც დაიჭირეს. ედავებოდნენ, შენ ის არ ხარ, რაც პასპორტში გიწერიაო.

— მერე თბილისში ჩამოიყვანეს, თუ რუსეთში დატოვეს?

— აქ უკვე იმ დანაშაულის ვადა გასული იყო, რისთვისაც გაიქცა. ამიტომ თავიდან გაასამართლეს და სასჯელიც რუსეთში მოიხადა.

ყოველი მოყოლისას ამ ამბავს თავიდან განვიცდი, შეიძლება ეს სხვისთვის საინტერესოა, ჩემთვის მთელი განცდებია და მოყოლაც მიჭირს.

სასჯელის მოხდის შემდეგ, საბუთები უნდა გამოეცვალა, უკან ჩასულიყო ლენინგრადსა და ბოროვიჩში, რომ ქარუხნიშვილის მაგივრად კვლავ იოსელიანი გამხდარიყო. ამიტომაც რამდენიმე დღით წავიდა. სადაც ცხოვრობდა, ვიღაცეებმა სთხოვეს, თავიანთი ნაცნობებისთვის ღამე გათევინებინა, რომელთაც მოხუცი ებრაელი გაუძარცვიათ და როგორც თანამონაწილე, ისე დააპატიმრეს. თავიც ვერაფრით გაიმართლა და 25 წელი მიუსაჯეს.

— ე.ი. დიპლომის ასაღებად ჩასული, თავიდან დაიჭირეს?

— დიახ. თანაც დაემთხვა, რომ იმ ქალაქში სწავლობდა, იქვე იყო გასამართლებული და ვერაფრით ვერ დადასტურდა, რომ ჯაბა მონაწილე არ იყო.

თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, ქარხანაში მუშაობდა და თანაც თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა, რომლის დამთავრების შემდეგ დისერტაცია დაიცვა.

ერთმა უცხოელმა მითხრა, საზღვარგარეთ ასეთი შემთხვევა სამაგალითო, საქებარი გახდებოდა და არა ყოველწუთში წამოსაძახებელიო.

ყველა ადამიანს ხომ არ შეუძლია 40 წელს გადაცილებულ ასაკში ცხოვრების თავიდან დაწყება. ჯაბას კი ენერგია აღმოაჩნდა. მასში დარჩა ყმაწვილური ფსიქოლოგია და დაუხარჯავი ენერგია აღმოაჩნდა, 69 წლის ბიჭი იყო. თუკი მის რომანს „ლიმონათის ქვეყანას“ წაიკითხავთ, იქ მთელ იმდროინდელ ატმოსფეროს იგრძნობთ. მართალია, ის ავტობიოგრაფიული არ არის, მაგრამ მოვლენები განზოგადებულად არის აღწერილი.

ჯაბა და ლილი იოსელიანები

დასთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ ჰოჰიაშვილი

ქურდები, ისევე როგორც კომუნისტები, მხურვალე ინტერნაციონალისტები არიან...

ჯაბა იოსელიანის ადგილი და როლი საქართველოს ბოლო წლების „პოლიტიკურ ცხოვრებაში“ უნდა ვეძიოთ მის პროფესიულ წარსულში. საზოგადოდ ქურდული სამყარო, შავი გაგება წარმოადგენდა კომუნისტური ტოტალიტარიზმის პროდუქტს და მის ორგანულ შემადგენელ ნაწილს. საზოგადოებაზე ზემოდან წითელ კონტროლს ემატებოდა ქვემოდან შავი კონტროლი, რათა ერთობლივად განეხორციელებინათ ის საერთო მიზანი, რასაც პიროვნებისა და საერთოდ ადამიანურობის სრული განადგურება ჰქვია.

80— იანი წლების ბოლოს, როცა საქართველოს კომუნისტურ ხელისუფლებას ძალიან გაუჭირდა, მათ ქურდული სამყარო იატაკქვეშეთიდან ამოუშვეს. მთავარი მიზანი, რასაც ამ შავი სამყაროს გამოყენებით ისახავდნენ, ეს იყო ეროვნული მოძრაობის დისკრედიტირება, ეროვნული ძალების დათრგუნვა და საბოლოოდ მათი სრული განადგურება. — ქურდები, ისევე როგორც კომუნისტები, რაღა თქმა უნდა, მხურვალე ინტერნაციონალისტები ბრძანდებიან!

ჯაბას მხედრიონმა ეს ამოცანა უნაკლოდ, დიდებულად, გადაჭარბებითაც კი შეასრულა; ოღონდ ეს იყო, რომ ამ გადამეტების გამო, რაკი ანტიეროვნულ ხელისუფლებას ეროვნული ძალების სახით სერიოზული მოწინააღმდეგე ფაქტიურად აღარ დაუტოვეს (გამსახურდიას ხელისუფლების მომხრეები ფიზიკურად გაანადგურეს, სხვების დისკრედიტაცია და დათრგუნვა მოახდინეს), ბოლოს ამ მოქკავშირელი კომუნისტების მეტოჭე თავად მხედრიონი აღმოჩნდა საქართველოს გაყიდვა-გადაყლაპვის საქმეში . შევარდნაძის ხელისუფლებამ ამაოსაში პოლიცია და სხვა სტრუქტურები მოიძლიერა და ქურდული სამყარო კვლავ იატაკქვეშეთში ჩააბრუნა.

თავად ჯაბა იოსელიანი, როგორც პიროვნება, მოგეხსენებათ ფრიად ორიგინალური, კოლორიტული ფიგურაა და არ აკლია პიროვნული ხიბლი. იქნებ ამითაც უნდა აიხსნას (რაღა მაინცდამაინც ცუდი უნდა ვიფიქროთ?!) ეროვნული ძალების ზოგი წარმომადგენლის თანამშრომლობა მასთან?!

— ისე ჯაბამ, რა თქმა უნდა, მშვენივრად იცოდა თავისი ვინაობა და ადგილი საზოგალოებაში, მაგრამ სუფთა ჰაერზე ყოფნამ და ბოლო დროს ამ ჰაერში გაფრქვეულმა პოლიტიკური ამბიციების სურნელმა მასშიც პატივმოყვარეობის გრძნობა გააღვიძეს: — მარტო მე რად უნდა ვთქვა უარი ლეგალურ-ლეგიტიმური ძალაუფლებით ტკბობაზეო?! დეკემბერ-იანვრის მოვლენების შემდეგ ერთ ტელეინტერვიუში აკი ჯაბამ გვაუწყა მისთვის ჩვეული ჰუმორით: — მე ზვიადს შევუთვალე: — მოდი, ორივენი დავჯდეთ ციხეში და დავანებოთ საქართველოს თავი; იქ, ციხეში მე მოგივლი, ფანჯარასთან ადგილს მოგცემო. მაგრამ ზვიადმა ჩემი არ შეისმინა და ასე დაიქცა საქართველო...

ბოლო დროს შავების მსოფლაღქმაში იკვეთება იმედისმომცემი სიმპტომიც: დაპატიმრების დროს მხედრიონელებმა, საოცარია, მაგრამ ფაქტია, ადამიანის უფლებების დარღვევებზე დაიწყეს ჩივილი!!! ეს დიდად სანუგეშო ნიშანია! რჩება იმედი იმისა, რომ ხვალზეგ ისინი სხვებსაც, მათ შორის მათ მიერ არაადამიანურად დარბეულ ხალხსაც ჩათვლიან ადამიანებად!

შვილთან ერთად

გიგა არველაძე:

მაშველთა კორპუსის პირველი თავმჯდომარე, თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე

ერთ დღეს, დილის 7 საათზე რომან გვენცაძე მირეკავს და მეუბნება...

1992 წელს მხედრიონი გვარდიასა და მოხალისეებთან ერთად სამეგრელოში იყო ჩასული რკინიგზის ხაზის აღსადგენად. ყაჩაღური ბანდების ასალგზავად წალენჯიხაში მდგარ ნაწილს ჯ.იოსელიანი, ხოლო ხობში მდგარ ნაწილს მე ვხელმძღვანელობდი.

ერთ დღეს, დილის 7 საათზე რომან გვენცაძე მირეკავს და მეუბნება, რომ ჯაბა ალყაშია და სასწრაფოდ დახმარება ესაჭიროებათ. ჯაბას სულ 80 კაცი ახლდა. ცაიშში და შემდეგ საბერიოსთან ნაროუშვილის ბრიგადასთან მოგვიხდა შეჯახება. წალენჯიხასთან ხიდი ჩაგვინგრიეს და ტექნიკის გადაყვანა გაგვიჭირდა. იქ ბრძოლებით შევედით, 10 კაციანი ჯგუფი დასახმარებლად ინტერნატის ტერიტორიაზე შევედით. იქ კი ასეთი სურათი დაგვხვდა: დალუშულები ეზოში მიმოფანტული ეყარნენ, ბიჭების გარკვეულ ნაწილს ეძინა, ხოლო გარეთ 15 კაცი იბრძოდა.

— კი მაგრამ ბრძოლის დროს როგორ ეძინათ?

— მოგვიანებით გავიგე, რომ დაძაბულობისას ადრენალინი მატულობს... ჯაბა ლობესთან ვნახეთ, სადაც ბრძოლის წინა ხაზი იყო და აქტიური სროლა მიმდინარეობდა. იგი გამურული იყო, ხელში აუტომატი ეჭირა, მისვლისას გვითხრა, სადა ხართ აქამდეო და უკვე იმედიანად განვაგრძეთ ბრძოლა. მე უსაფრთხოებისთვის დაწოლა შევთავაზე, მაგრამ მან მიპასუხა, თუ სიკვდილი გვიწერია რა მნიშვნელობა აქვს ფეხზე დამდგარი თუ დაწოლილი მოვკვდებიო.

დაახლოებით 40—45 წუთი აქტიური სროლა სტალინის კედელთან მოგვიწია. ჯაბამ აქ უბადლო ვაჟკაცობის მაგალითი გვიჩვენა. ბრძოლის დამთავრების შემდეგ, დასასვენებლად ჩამოჰჯდარმა მითხრა — ეხლა გავიგე პისტოლეტს ომში რა მნიშვნელობა ჰქონიაო. თავიდანვე ეს სიტყვები ვერ გავიგე, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ბიჭები ტყვია-წამლის ნაკლებობის გამო ცოცხლად ჩაბარებას არ აპირებდნენ...

ბრძოლის მოგერიების შემდეგ იქ კიდევ ორი კვირა დავრჩით. დამამახსოვრდა ერთ საღამოს ჯაბას ნათქვამი — ასპინძის ბრძოლაში ერეკლე მეფის დაძახებაზე 2000 კაცი გამოვიდა, ხოლო როცა გარდაიცვალა 80 ათასი შეიარაღებული ქართველი მიაცილებდაო. მაშინ საქართველოს ბედი ასე ცოტა ვაჟკაცის ხელში იყო და მათი სულები ჩვენს ბიჭებში გადმოვიდაო.

მახსენდება სოხუმის ასეთი ეპიზოდიც. სოხუმში რკინიგზიდან აფხაზთა პირველი შემოჭრისას შტაბში არავინ იყო, პოლკოვნიკი პაატა დათუაშვილი დაიბნა და მაშინ ჯაბამ მთელი ინიციატივა ხელში აიღო. სასწრაფოდ შეკრიბა უთავბოლოდ გაბნეული გვარდიის, მხედრიონისა და მოხალისეთა ნაწილები. პ.დათუაშვილს დაავალა დანარჩენ მებრძოლთა თავმოყრა, თვითონ კი 20 კაციანი ჯგუფით მოახერხა აფხაზების უკუგდება. საერთოდ არ არსებობდა კრიტიკული სიტუაცია, სადაც ჯაბა პირველი არ წასულიყო.

— რამდენად ესმოდა ჯაბა იოსელიანს სამხედრო საქმე?

— შეიძლება ჯაბამ სამხედრო სტრატეგია არ იცოდა, მაგრამ მას ჯარისკაცებთან მოპყრობა ესმოდა. გათავისებული ჰქონდა, რომ მხოლოდ პირადი მაგალითი თუ მიიყვანდა საბრძოლო განწყობაზე შეშინებულ კაცს. მან იცოდა, რომ რაც სიმაღლეები არსებობდა, ისინი აუცილებლად უნდა დაგვეკავებინა, რის შემდეგ ბრძოლა ძალიან გაგვიადვილდებოდა.

— თქვენ ჯ.იოსელიანთან ახლოს ხართ, ამიტომ საინტერესოა მისი პიროვნების დახასიათება.

— ჯაბა ის კაცია, რომელსაც საკუთარი სიცოცხლე მივანდე, მჯერა და მწამს. მისგან არასწორი გადაწყვეტილების მიღება გამორიცხული იყო, მარტივი, მაგრამ ზუსტი შეფასების მიუხედავად. ძალიან დიდი სტიქული გახლდათ, 70 წლის, თანაც მაღალ სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე მყოფი კაცი რიგითი ჯარისკაცივით ჩვენს გვერდით თავდაუზოგავად რომ იბრძოდა. ვფიქრობ, ამით ყველაფერი ნათქვამია.

პაატა ზაქარეიშვილი:

მე ეჭვი მეპარება, რომ ჯაბა თავდასხმაში მონაწილეობდა

ბატონ ჯაბას ომის პერიოდიდან ვიცნობდი. „მხედრიონის“ ბაზა ოჩამჩირეში იყო და მათთან ხშირად ჩავდიოდი. აღსანიშნავია, რომ ნარკომანია, მოროდიორობა მთელ ჯარში იყო მოდებული და არ მიმაჩნია სწორად მხოლოდ „მხედრიონზე“ ყურადღების გამახვილება. ჩემი აზრით, ლაპარაკი ღირსებებზე უნდა იყოს, როცა „მხედრიონი“ სხვაზე მეტი თუ არა, ნაკლები არ ყოფილა. ყველაზე შემტევები იყვნენ და ტყვარჩელის აღებაც რეალურად შეეძლოთ. საშუხაროდ, შეჩერება მათი მიზეზით არ მომხდარა.

ჯაბა ოჩამჩირეში ხშირად ჩამოდიოდა და მაშინვე ოპერაციებზე გადიოდა. უშიშრად და გულადად იბრძოდა. მას ტყვეთა გაცვლა არ შეუფერხებია და ცდილობდა ამ დროს საომარი მოქმედებები შეწყეტილიყო.

ოჩამჩირეში ერთი ცნობილი აფხაზი მწერალი აიყვანეს. მაშინ ჯაბამ იგი ყოველგვარი პირობის გარეშე მაშინვე გაანთავისუფლა. ეს მაშინ, როდესაც შეიძლებოდა იმ მწერლის ჩვენს ტყვეებზე კარგად გაცვლა. ამ ეპიზოდის შემდეგ უფრო კარგი საქმეები გაკეთდა, კეთილგანწყობაც მეტი გაჩნდა და აფხაზებსაც ჩვენს ტყვეებს ასევე უპირობოდ ვათავისუფლებინებდით.

ბატონი ჯაბა ძალიან ჭკვიანურად მოიქცა, როდესაც იარაღი ჩააბარა და ბიჭები სისხლისღვრას გადაარჩინა. საერთოდ კი „მხედრიონი“ ძალიან ბინძურად გამოიყენეს. ჯერ სადაც საჭირო იყო იმ რთულ უბნებში უშვებდნენ, შემდეგ კი დაამადლეს. რასაც „მხედრიონს“ ახლა აბრალებენ, ეს მოქმედება მაშინ ყველასთვის ცნობილი იყო. მათ რკინიგზიდან ნაქურდალი შაქარი, ფქვილი მოსახლეობიდან ამოიღეს, სათანადოდ გააფორმეს და დაღუპულთა ოჯახებს დაურიგეს. სხვა საქმეა რამდენად სწორად მოიქცნენ, მაგრამ სინამდვილეში ასე მოხდა.

მომსწრე ვარ, რომ ბატონ ჯაბას ვიწრო წრეში გულწრფელად უთქვამს — კი, შევარდნაძე გამიკრიტიკებია, მაგრამ ეს კაცია საქართველოში სტაბილიზაციის გარანტიო. მე ეჭვი მეპარება, რომ ჯაბა თავდასხმაში მონაწილეობდა. ვინაიდან იმდენად კარგი იყო მისი განწყობა და მუდმივად ჰქონდა ისეთი აზრი, რომ შევარდნაძის პოლიტიკიდან მოცილება, საქართველოსთვის ათასჯერ უარესი აღმოჩნდებოდა.

ლერა აბულაძე:

ჯ. იოსელიანის რწმუნებული

მისი სიტყვები ახლაც კარგად მახსოვს — ნუთუ გამიმეტეს მოსაკლავადო

აფეთქების დროს შენობაში ვიყავი და ისეთი მძლავრი დარტყმა იყო, რომ ვგონებ კანტუზიაც მივიღე. ვესტიბიულში გამოვვარდი, რა ხდებოდა არ ვიცოდი. ბატონ ჯაბას კაბინეტიდან შავი ბოლი და ცეცხლის ალი დავინახე. ვიფიქრე, ჯაბა ააფეთქეს—თქო და ვყვიროდი ჯაბა მოკლეს-მეთქი. მერე მითხრეს ცოცხალიაო და კაბინეტში შევედი. ბატონი ჯაბა გოგნებულ-გაფითრებული იყო. მისი სიტყვები ახლაც კარგად მახსოვს: „ნუთუ გამიმეტეს მოსაკლავადო“. შემდეგი მოვლენების განვითარება ყველამ იცის, ამიტომ აღარ შევჩერდები, თუ რით დამთავრდა ყოველივე.

დაკითხვაზეც ვიყავი გამოძახებული. გამომძიებელმა აღნიშნა, რომ ბატონ ჯაბას ფული არ უკეთებიაო. არადა სამი წლის მანძილზე სულ იმას გაიძახოდნენ, ჯაბას მილიონები, მაღაზიები აქვსო. ბოლოს აღმოჩნდა, რომ არაფერი არ ჰქონია და ცოლ-შვილიც მეზობლების მისახედი დარჩა. ვუპასუხე — მე კი ვიცი ეგ, მაგრამ თქვენ რომ ამას ობიექტურად ამბობთ, მადლობას გიხდით-მეთქი. ვფიქრობ გამომძიებლებშიც არიან პატიოსანი ადამიანები, რომლებიც ყველაფერს ობიექტურად გამოიკვლევენ და ბატონ ჯაბას უდანაშაულობას გამოააშკარავებენ. როგორც ვიცი, ბრალდება მას ჯერჯერობით წაყენებული არა აქვს, ხოლო ტელევიზიით რასაც ამბობენ, ალბათ, სპეციალურად კეთდება და ვის აწყობს, უკვე აღარ ვიცი, იმდენად დავიბენი პოლიტიკაში.

შემიძლია დანამდვილებით ვთქვა, რომ „მაშველთა კორპუსში“ თუ რამე ირღვეოდა, ბატონი ჯაბა არაფერ შუაშია, ვინაიდან ამ ორგანიზაცია, თავისი ხელმძღვანელობა ჰყავდა. ბატონ ჯაბას სახელით კი ბევრმა ისარგებლა. მე ვიტყოდი, ბატონი ჯაბა გულუბრყვილო ვაჟკაცია, რომელსაც ყველასი სჯეროდა, იმიტომ რომ ბუნებით თვითონ იყო სუფთა. თვითონ რომ მაქინაციები შესძლებოდა, ყოველივეს ალბათ სხვანაირად შეხედავდა. მჯერა, გავა დრო და ქართველი ხალხი მას ეროვნულ გმირად დასახავს. ხალხი უკვე ლაპარაკობს: აქამდე ჯაბა იყო, ახლა კი ვიღა ძარცვავს ამ ქვეყანასო, ქვეყანა არ გამოკეთებულა ჯაბას მხედრიონის დაჭერის შემდეგო. ალბათ ყველაფერს დრო სჭირდება...

ესეც ჯაბაა

გელა ნიკოლაიშვილი:

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების გამგეობის წევრი

ეს შეხვედრა ლანძღვა-გინებით და შეხლა-შემოხლით დამთავრდა

— როგორ შეაფასებდით ჯაბა იოსელიანის პოლიტიკურ მოღვაწეობას?

— არასასიამოვნო და ცოტა უხერხულიცაა პატიმრობაში მყოფ კაცზე საუბარი. ჯაბა იოსელიანის საქმიანობის შეფასებისას, შეიძლება ითქვას, რომ მან საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უარყოფითი როლი შეასრულა. ყველაზე დიდი ბრალი იმაში მიუძღვის, რომ თავისი ორგანიზაციით შიდა და გარე ძალებმა, საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, იგი შესანიშნავად გამოიყენეს.

ჯ.იოსელიანს ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის მაღალ პოლიტიკურ წრეებთან. მისივე მტკიცებით, თავდაპირველად სჯეროდა, რომ რუსეთისათვის შევარდნაძე მისაღებია, ამიტომაც მისი საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. შემდეგ კი შევარდნაძე, რუსეთისთვის მიუღებელი გახდა და მათი დაპირისპირებაც ამიტომ მოხდა. ეს ჯაბას სიტყვიერი პოზიცია იყო. ჩემი აზრით კი იგი მიხვდა, რომ შევარდნაძისთვის უკვე საჭირო აღარ იყო. გამოყენების შემდეგ უკვე მოსროლასაც უპირებდნენ და მათი დაპირისპირების მიზეზიც ეს გახდა.

— რა ურთიერთობაში იყო იჯავჯავაძის საზოგადოება ჯ.იოსელიანთან?

ჩვენმა დეპუტაციამ, მისსავე კაბინეტში კატეგორიულად მოთხოვა სამეგრელოში ლაშქრობაზე ხელის აღება. ჯაბამ ამ გამგზავრების მიზეზად ზვიადისტების თბილისთან მოახლოვების შესაძლებლობა დაასახელა. ჩვენ კი ვუმტკიცებდით, რომ მოლაპარაკება სისხლისღვრის გარეშეც შეიძლებოდა.

ამის შემდეგ ჩვენს შორის არანაირი ურთიერთობა აღარ არსებობდა.

— ალბათ, გახსოვთ, მასობრივ საინფორმაციო საშუალებებით „მხედრიონის" რეაბილიტაცია აქტიურად მიმდინარეობდა. მაშინ თქვენი პარტია რა პოზიციაზე იდგა?

— მრავალი ნამდვილი პატრიოტი მხედრიონელი ქვეყნის ინტერესებს მართლაც გმირულად შეეწირა. რაც შეეხება ტელევიზიით „მხედრიონის" ხოტბას, ეს პირველ რიგში სახელმწიფო პოლიტიკა გახლდათ და ამის გამო ჩვენ, ოპოზიციურ პარტიას, ცისფერ ეკრანზე არ გაგვაჭაჭანებდნენ.

პარლამენტის სხდომებზე კი, ჯ.იოსელიანთან ჩვენი მძაფრი დისკუსიები ალბათ ბევრს ემახსოვრება. განსაკუთრებით ეს ეხებოდა ჟენევაში შესრულებულ მის უარყოფით როლს აფხაზეთის საკითხებზე დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. მაშინ ჯაბა, მისი მომხრე საპარლამენტო უმრავლესობა და სახელმწიფოს მეთაურიც, რუსული ენის არცოდნას გვაბრალებდნენ, ხან პოლიტიკურ უვიცობას გვწამებდნენ. მუქარის ტონითაც კი გვეუბნებოდნენ „ოპოზიცია ციხეში უნდა იჯდესო". სამწუხაროდ, ცხოვრებამ ჩვენი პოლიტიკური უვიცობა კი არა, ცოტა სხვა რამ დაამტკიცა. ვერც დსთ-ში შესვლამ, ვერც ბაზების დათმობამ და სხვა ხელშეკრულებებმა აფხაზეთის დაბრუნების საქმეში ნაბიჯითაც წინ ვერ წაგვწია. პირიქით, ხელისუფლების თხოვნით მოყვანილი ე.წ. სამშვიდობო ჯარები, საქართველოს საზღვარს ენგურზე „საიმედოდ" აფიქსირებენ.

— ხომ ვერ ახსნით, რატომ დაინიშნა ჯაბა იოსელიანი ჟენევის მოლაპარაკებების ხელმძღვანელად?

— ვფიქრობ, მაშინ ის იყო ერთადერთი პიროვნება, ვინც ოპოზიციის შეტევებს ამ წამგებიანი ხელშეკრულების გამო თავის თავზე აიღებდა და მოიგერიებდა.

საერთოდ კი, ჯაბა იოსელიანი ნებისმიერი პოლიტიკოსისათვის იმის მაგალითია, რომ ხელისუფლება პირადი მიზნისთვის კი არ გამოიყენოს, არამედ საშუალება უნდა იყოს ეროვნული ინტერესების სამსახურისთვის. თორემ, როგორც იტყვიან, — დრონი მეფობენ და არა მეფენი.

მარცხნიდან მარჯვნივ: ჯაბა იოსელიანი, მედეა ჯაფარიძე, რევაზ თაბუკაშვილი. რიწის ტბა, 1956 წ.
ჯ. იოსელიანი ახალი გამოსულია ციხიდან

ლევან გიორგაძე:

თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე
საზოგადოება „არჩევნების" თავმჯდომარე

დაპატიმრებამდე მე არაერთხელ შევხვედრივარ ბატონ ჯაბას, — იგი ყოველთვის უარყოფით შეფასებას აძლევდა მომხდარ ფაქტს

— როგორი იყო თქვენი და ჯ.იოსელიანის ურთიერთობა საზოგადოება „არჩევნების" საქმიანობასთან დაკავშირებით?

— საზოგადოება „არჩევნები" 1994 წლის სექტემბერში შეიქმნა. მისი დაარსების ინიციატორი ბატონი ჯაბა იყო. ამ ორგანიზაციაში ჩემი მეგობრების რეკომენდაციით მოვხვდი. დამფუძნებელ კრებაზე მე საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ ამირჩიეს. სწორედ იმ პერიოდიდან, ე.ი. 1994 წ. სექტემბრიდან, მე რეგულარულად ვხვდებოდი ბატონ ჯაბას გამგეობის სხდომებზე. არჩევნებამდე წელიწადზე მეტი დრო რჩებოდა...

საზოგადოების შექმნის მთავარი მიზანი მის წესდებაში იყო ჩამოყალიბებული. ძირითადი იდეა კი იყო მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის ღირსეული კანდიდატურების შერჩევა და მათთვის დახმარების გაწევა. წესდებაში ჩაწერილმა ამ დებულებამ ბევრი ცნობილი ადამიანი გააერთიანა საზოგადოებაში. აქ იყვნენ მეცნიერები, იურისტები, ეკონომისტები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები — ის ხალხი, რომელიც არ იყო არცერთი პარტიის წევრი და მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდათ — სამშობლოს კეთილდღეობისათვის სამსახური. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნო, რომ საზოგადოება „არჩევნების" შექმნამ ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები საკმაოდ შეაშფოთა, რადგან მათ ამ გაერთიანებაში კონკურენტი დაინახეს. დაიწყო მიზანმართული მუშაობა ჩვენი დისკრედიტაციისათვის... ამბობდნენ, რომ კულისებში დგანან საქმოსნები, კლანები, მაფია და რაღას არ იგონებდნენ... ძირითადი საქმიანობა, რასაც იმ პერიოდში გამგეობა ეწეოდა, მიმართული იყო რეგიონებში საზოგადოების განყოფილებების შექმნისკენ. გაზაფხულისათვის ეს ერთეულები აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონში შეიქმნა. რამდენიმე პარტიის წარმომადგენლებისგან ერთობლივი ლონისძიებების ჩატარების წინადადებებიც მოდიოდა... (სხვათაშორის, მოქალაქეთა კავშირიდანაც).

ბატონი ჯაბა ამ წინადადებების წინააღმდეგი არასდროს არ ყოფილა. პარალელურად, ჩვენს შეკრებებზე ეცდილობდით კანდიდატთა გარკვეული ბირთვი შექმნილიყო, რომელთა მხარდაჭერა ჩვენი მთავარი ამოცანა იქნებოდა. მათ რიცხვში ბატონი ჯაბა უპირველესად ყოვლისა სახელმწიფოს მეთაურის კანდიდატურას ასახელებდა... ამასობაში დადგა 1995 წლის მარტი, მოხდა ცნობილი რუსთავის ინციდენტი...

გამგეობამ კონფერენცია დაგეგმა, რომელიც 1995 წ. 10 ივნისს ჩატარდა ფილარმონიის დარბაზში. ხელისუფლების რეაქცია აშკარად უარყოფითი გამოდგა. მიზეზი ერთი იყო: კონფერენციაზე განსახილველ საკითხებს შორის მთავარი ყურადღება დაეთმო საკითხებს: სჭირდება თუ არა საქართველოს გუბერნატორები (რწმუნებულები), საჭიროა თუ არა სამხარეო დაყოფა, კონსტიტუციის პროექტი, საარჩევნო კანონი და სხვა. ზოგიერთი ჟურნალისტის ცალმხრივი და დამახინჯებული ინფორმაციის წყალობით, შეიქმნა შთაბეჭდილება თითქოს საზოგადოება „არჩევნები" ხელისუფლებას და სახელმწიფოს მეთაურს დაუპირისპირდა და დესტრუქციულ ძალად ჩამოყალიბდა. ეს არ შეესაბამება სინამდვილეს. საზოგადოება „არჩევნების" მიზანი არასოდეს ყოფილა ვინმესთან დაპირისპირება, მაგრამ იქნებოდა ისეთი აზრი, თითქოს კონფლიქტი გარდუვალი იყო. პირადად მე და რამდენიმე ცნობილი იურისტი არაერთხელ შევხვედრივარ ბატონ ჯაბას კონსტიტუციის პროექტის განხილვისათვის და მას არაერთხელ გამოუთქვამს აზრი მისი მიღების წინააღმდეგ, თუმცა ზოგიერთ დებულებას აშკარად ზედმეტად თვლიდა. არც გამგეობის სხდომებზე, არც საერთო კრებებზე, ბატონი ჯაბა საკუთარ მოსაზრებებს თავს არ ახვევდა არავის და ყოველთვის ანგარიშს უწევდა გამომსვლელთა აზრს. რაც შეეხება აზრს, თითქოს ჯაბა იოსელიანი „ძალზე აქტიურად ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის მიღებას" — („სახალხო გაზეთი" №47 1996 წ. 2 მაისი) არ არის სწორი. ვიმეორებ, იგი მხოლოდ ზოგიერთი დებულების წინააღმდეგი იყო, და როცა იგი შესწორდა, კონსტიტუციის ხელმოწერის ცერემონიაშიც მიიღო მონაწილეობა.

— რას ფიქრობთ ჯაბა იოსელიანის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებაზე 1995 წ. 29 აგვისტოს მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით?

— სახელმწიფო გადატრიალებისა და ტერორისტულ აქტში მონაწილეობის ბრალდება მეტად სერიოზული ამბავია. დაპატიმრებამდე ე.ი. 15 ნოემბრამდე, მე არაერთხელ შევხვედრივარ მას და თითქმის ყოველთვის გვქონდა საუბარი ამის თაობაზე: იგი ყოველთვის უარყოფით შეფასებას აძლევდა მომხდარ ფაქტს და არ სცნობდა ასეთ მეთოდებს გამართლებულად.

მე ვერ გეტყვით დანამდვილებით, რა არგუმენტები და ფაქტები გააჩნიათ საგამოძიებო ორგანოებს ამის შესახებ, მაგრამ მაინც მინდა გამოვთქვა ჩემი მოსაზრება იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება საზოგადოებრივი აზრის დამუშავება ამასთან დაკავშირებით. სრულიად გაუმართლებლად ვთვლი „სახალხო გაზეთში" პუბლიკაციების სერიალს, რომელიც კვლავ გრძელდება და ბევრ სადავო მასალას შეიცავს. ბატონ ჯაბას ადვოკატობას ჯერ არ ეპირება (მით უმეტეს, რომ მას მეტად კვალიფიციური ადვოკატი ჰყავს), მაგრამ ამ პუბლიკაციების შესახებ ვიტყვი, რომ სახელმწიფო კანცელარიის ბეჭდვით ორგანოში ასეთი სტატიები არ უნდა იბეჭდებოდეს. ჟურნალისტის ვარაუდები ამა თუ იმ პიროვნების ბრალეულობაზე, უკრო შეკვეთას ჰგავს, ვიდრე ვითარების ობიექტურ ანალიზს. საკითხავია, რატომ იბეჭდება გაზეთში ისეთი მასალა (თუ იგი ნამდვილია), რომელიც მხოლოდ გამოძიებისათვის არის ცნობილი და ჯერჯერობით გამოძიების საიდუმლოებას უნდა წარმოადგენდეს. საკითხავია, ვინ აძლევს ჟურნალისტს ასეთ მასალას და რისთვის? ნუთუ ამ პუბლიკაციების შემდეგ ვინმეს ჰგონია, რომ ეს სასამართლოზე ზემოქმედება არ არის? ან სტატიის ავტორი წერს, რომ ჯაბა იოსელიანმა ჩამოაყალიბა დანაშაულებრივი ორგანიზაცია „მხედრიონი" — მაშველთა კორპუსი, და აიგივებს ორ სხვადასხვა ორგანიზაციას, იგი აშკარა შეცდომას სჩადის. ასეთი შეფასება შეურაცხყოფელია დაღუპული ბიჭების ხსოვნისათვის და მომავალისათვის მეტად უხერხულ სიტუაციების შეუქმნის ხელისუფლებას. ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არაერთხელ ყოფილა შემთხვევა, როდესაც წინასწარი ბრალდებები პრესაში და ტელევიზიაში გამოთქმული საზოგადოებრივი აზრის ცალმხრივად დამუშავებისათვის, არ გამართლებულა და დროა ისტორიის შწარე გაკვეთილებიდან სათანადო დასკვნები გაკეთდეს. როგორც მოქალაქე და იურისტი, მე მოვხრე ვარ დამნაშავეობასთან შეურიგებელი ბრძოლისა, მაგრამ ვერ დავეთანხმები ისეთ პუბლიკაციებს, რომლებიც აშკარა ცალმხრივობით ხასიათდება. ასეთი ფაქტების შესახებ მე დავწერე 1995 წლის 28 ოქტომბერს გამოქვეყნებულ წერილში (იხ. გაზეთი „საქ. რესპუბლიკა"), რომელიც ბატონ სოლიკო ხაბეიშვილის გახმაურებულ საქმეს ეხებოდა. სხვათაშორის, წერილი ჯერ კიდევ 1987 წელს მქონდა შრად და იგი მხოლოდ 9 წლის შემდეგ დაიბეჭდა. მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, მაგრამ მგონი ესეც საკმარისია სერიოზული განსჯისათვის. საწუხარი იქნება, თუ ჯაბა იოსელიანის შესახებ ანალოგიური წერილი ასევე რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნდება.

მასალები მოამზადა
გუბაზ მეგრელიძემ

ედუარდ შევარდნაძე: ...თუკი სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მე შეწყალების ჩემს უფლებას გამოვიყენებ

რა ურჩევნია ბ-ნ შევარდნაძეს — იყოს მოსკოვში მეორე თუ პირველი თბილისში? იგი საქართველოში ჩამოვიდა ქვეყნის აღორძინების იმედით. 1992 წელი, საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. ზვიად გამსახურდია — ყოფილი დისიდენტი, ძალაუფლებამ რომ ტირანად აქცია, ის-ის იყო ქვეყნიდან გააძევეს. მრავალეროვან საქართველოში რამდენიმე მისი რეგიონი (სახრეთ ოსეთი, აბხაზეთი) თავგამოდებით ესწრაფვის დამოუკიდებლობას და გამოყოფას. მოსკოვი ცეცხლზე ნავთს ასხამს. მისი მიზანია კავკასიის დაყოფა და ბატონობა.

და აი, შევარდნაძე ჩამოვიდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ყოფილი ლიდერი, გორბაჩოვის დროს სსრკ საგარეო საქმეთა მინისტრი, დროს ფეხს უწყობს და ისტორიის მატარებელზე არ იგვიანებს: იგი მართლმადიდებელი წესით ინათლება. ამიერიდან მას გიორგი ჰქვია, წმინდა გიორგი კი ქვეყნის მფარველი ანგელოსია. მაგრამ აკურთხეს კი იგი ღმერთებმა? აბხაზების კრიზისის დროს, ალყაშემორტყმულ სოხუმში, იგი რამდენიმეჯერ ხელიდან დაუსხლტა სიკვდილს. გასულ აგვისტოს, სასწაულებრივ გადაურჩა დანაღმული მანქანის აფეთქებას და მაისურის ამარა, ცოტაოდენ დაბნეული და ქოჩორაშლილი სახელმწიფოს მეთაურის ფოტოსურათმა მსოფლიოს გაზეთები ააჭრელა.

შევარდნაძემ მოაწესრიგა კავშირები რუსეთთან და დაკარგულ რეგიონებთან ბრძოლას ბოლო დაუდო. იგი იმედოვნებს, რომ ეს რეგიონები დაუბრუნდებიან საქართველოს. 5 ნოემბერს შევარდნაძე ხელმეორედ აირჩიეს რესპუბლიკის პრეზიდენტად. იგი ჩვენ გვიღებს საბჭოურ სტილში ნაგებ, უზარმაზარ სვეტებიან შენობაში, რომელშიც საქართველოს უმაღლესმა ხელისუფლებამ დაიდო ბინა. 67 წლის ასაკში იგი იმ კატას ჰგავს, რომელსაც ძილშიც კი ცალი თვალი ღია აქვს. სათქმელსაც გამოზომილად ამბობს...

ტელერამა — გახსოვთ ის დრო ლეონიდ ბრეჟნევს რომ მიმართეთ: „ქართველებისთვის მზე ჩრდილოეთიდან ამოდის“?

ედუარდ შევარდნაძე — ეს სიტყვები ნიღაბი იყო, რომელიც ფარავდა იმას, რაც აქ, საქართველოში ხდებოდა გონებრივი და მატერიალური თვალსაზრისითაც. საქართველო საბჭოურ სისტემასთან შეუთავსებელ ოაზისად იქცა. ჩვენს პატარა რესპუბლიკას „ეკონომიკური ცდების პოლიგონს“ უწოდებდნენ. ჩვენ მხარს ვუჭერდით ინიციატივის სულისკვეთებას და ჯერ კიდევ ემბრიონალურ მდგომარეობაში მყოფი საბაზრო ეკონომიკის პირველ ნაბიჯებს. ეს სითამამე კონფორმისტული და დამამშვიდებელი მჭერმეტყველობით უნდა გაგვწონასწორებინა.

ტელერამა — გარეგნული მორჩილება და შინაგანი აბმოხი — აი რითია დაღდასმული თქვენი კარიერა...

ე.შევარდნაძე — მაგრამ მე მუდამ იგივე ვარ. ჩემი გადადგომა, გორბაჩოვის წინააღმდეგ მიმართულ პუტჩს რომ უსწრებდა წინ, სკანდალის გამოწვევას ისახავდა მიზნად და ეს იყო ბოლო მცდელობა საზოგადოებრივი აზრის გამოფხიზლებისა. იგი ელექტროშოკი იყო, რომელმაც მას წარმოუჩინა მოახლოებული დიქტატურა. გორბაჩოვმა სათანადოდ ვერ შეაფასა ეს საფრთხე. მოსახდენი მოხდა, ჩემმა ჟესტმა პუტჩი თავიდან ვერ აგვაცილა. მაგრამ საზოგადოებრივმა აზრმა, უკვე ფხიზლად მყოფმა, ხელი შეუწყო მის აკვანშივე ჩაკვლას.

ტელერამა — რა ადგილი უკავია თქვენს მოღვაწეობაში ანგარიშს და ემოციას?

ე.შევარდნაძე — 1991 წელს ემოცია გამორიცხული იყო. ეს იყო ფხიზელი ანგარიში — დემოკრატიის საკურთხეველთან მიტანილი მსხვერპლი. შემდეგი ჩემი გადადგომა — 1993 წელს, უკვე აქ, თბილისში, განპირობებული იყო იმ გაღიზიანებით, რომელსაც ჩემში იწვევდა ოპოზიციის ქმედება. ეს იყო ბორბლებში გაჩხერილი ჯოხები. მაგრამ ამ აქტში ანგარიშის დიდი წილიც ერია. მხოლოდ ასეთ ხმაურიან გადადგომას შეეძლო გამოეწვია საჭირო გამოსვლები, რომელიც ჩემს ჟესტს მოჰყვა: მუხლებზე დამხობილი ადამიანები ჩემს დაბრუნებას ითხოვდნენ, იმ დღეს რომ არავინ მოსულიყო, მე მართლაც წავიდოდი, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ საქართველო ჯერ კიდევ არ იყო მზად გამხდარიყო საკუთარი ბედის გამგებელი.

ტელერამა — არასდეს გიფიქრიათ, რომ ამერიკაში უფრო კარგად იქნებოდით, თქვენს მეგობარ ჯეიმს ბეიკერთან გოლფს ითამაშებდით?

ე.შევარდნაძე — და მილიონობით დოლარს მოვხვეტავდი! მკაცრად პიროვნული თვალსაზრისით, თქვენ, იქნებ სწორიც ბრძანდებით: მე ბედნიერი ვიქნებოდი თქვენეული გაგებით, პრესკონფერენციებს გავმართავდი, მოხსენებებს წავიკითხავდი, გარანტირებული შემოსავალი მექნებოდა, დასავლურ მაღალ წრეებს დავუკავშირდებოდი. მაგრამ საკითხი სხვაგვარად იდგა: გადარჩება თუ არა საქართველოო.

ტელერამა — აი, თქვენ ქრისტიანი ბრძანდებით. როდესაც მოინათლეთ, აზრად ხომ არ გაგივლიათ რაიმე, იმ შეგონებების მსგავსი, რომლითაც წმინდა რემიმ მიმართა კლოვისს[1]: „ცეცხლს მიეც ის, რასაც აღმერთებდი და გაალმერთე ის, რაც ოდესღაც ცეცხლითვე გადაბუგე“?

ე.შევარდნაძე — მე მართლაც დავწვი ის, რითაც ყველაზე მეტად ვამაყობდი, ის რასაც ესოდენ დიდხანს ვაღმერთებდი: კომუნისტური სისტემა, მენტალიტეტი და შეხედულება. დღეს მე სწორედ ეს მაქვს საამაყო, მიუხედავად იმისა, რომ ხანგრძლივი დროის მანძილზე მწამდა, რომ შევძლებდი ერთიერთისთვის შემეთავსებინა იდეალი და შესახძლებელი თვით საბჭოთა კავშირის წიაღში. რეჟიმის შიგნით უნდა მეცხოვრა, რომ ნათელი წარმოდგენა შემექმნა მასზე. ეს იყო სტალინის მიერ ნაშენი ციხე-სიმაგრე. ვერავითარი იარაღი, თვით ატომურიც კი, მას ვერ მოამსხვრევდა. იგი შიგნიდან უნდა დანგრეულიყო.

ტელერამა — ფიქრობთ, რომ შესაძლოა წმინდა სოციალიზმი, ლენინიზმისაგან განწმენდილი სოციალიზმი?

ე.შევარდნაძე — საქმე პლურალიზმს ეხება. მისი შეზღუდვა ნიშნავს, რომ საზოგადოება, რომელსაც აშენებთ, არც თავისუფალი იქნება და არც დემოკრატიული. მე ვერ გავიგე თქვენი გამოთქმა. ჩემთვის იგი არსებითად წინააღმდეგობრივია — „წმინდა სოციალიზმი“!

ტელერამა — მენშევიკებმა, რომლებიც 1918-1921 წლებში მართავდნენ საქართველოს, სანამ ისინი ბოლშევიკებმა არ მოაშთეს, დატოვეს ერთობ დემოკრატიული კონსტიტუცია.

ე.შევარდნაძე — ეს ტექსტი მისაღებ აზრებს შეიცავს, მაგრამ მასში ჩადებული იყო მარქსული „პროლეტარიატის დიქტატურის“ იდეისა. ეს კი დემოკრატიის პრინციპს ეწინააღმდეგება. ილუზიებს ნუ აყვებით. მენშევიკები და ბოლშევიკები არც თუ ისე ბევრით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

ტელერამა — ეს კონსტიტუცია სპობდა სიკვდილით დასჯას, რაც თქვენ არ გაკეთეთ. „საერთაშორისო ამნისტიის“ საზოგადოებამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოს საკითხი...

ე.შევარდნაძე — შეიძლება თუ არა სიკვდილით დასჯა შეუთავსდეს დემოკრატიას? რა თქმა უნდა: შეხედეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს და კიდევ სხვა ქვეყნებს. გულის სიღრმეში, მე ამის წინააღმდეგი ვარ, მაგრამ დემოკრატია, ჯერ კიდევ უღონო, ვალდებულია, თავის დაცვის მიზნით, მიმართოს დაშინების ამ უკიდურეს, მაგრამ კანონიერ ზომას. არსებობს სახელმწიფოს ინტერესები და ამის უარყოფა გულუბრყვილობა იქნებოდა.

ტელერამა — თუკი თქვენზე გაბრაზებული თავდასხმის ორგანიზატორებს მოიხელთებენ, დასჯიან თუ არა ისინი?

ე.შევარდნაძე — მე მეშინია, ამაზე არ გახლავართ და ჩემს აზრს არავის ვახვევ თავს. მაგრამ — თუკი სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, მე შეწყალების ჩემს უფლებას გამოვიყენებ.

ტელერამა — ხომ არ გექმნებათ შთაბეჭდილება, რომ რუსეთი, რომელიც სსრკ-ს დროს ბევრ რამეს პატიებდა საქართველოს, დღეს ამას აღარ დაუშვებს?

ე.შევარდნაძე — ჩემმა ქვეყანამ ვერ შესძლო თავიდან აეცილებინა სოციალიზმიდან ნაციონალიზმში გადასვლა. ორთავე ეს ფენომენი ფუნდამენტალიზმია, ფესვები კი განსხვავებული აქვთ, მაგრამ შედეგი ერთნაირია. როდესაც საქართველომ საკუთარი დამოუკიდებლობა დაიკანონა, ერთადერთი პოლიტიკა მისთვის რუსეთის ლანძღვა აღმოჩნდა. თბილისის ქუჩებში კედლებს ბავშვური მოწოდება „ამშვენებდა“: „გამოვუცხადოთ ბლოკადა რუსეთს!“ ამას პათოლოგიური ნაციონალიზმი ახლდა თან, რომელიც მოსახლეობის უბედურების ხარჯზე იფურჩქნებოდა. ბრძოლა გამოუცხადეს ეთნიკურ უმცირესობებს, რომელთა მიმართ ქართველებს მუდამ შემწყნარებლური პოზიცია ეკავათ: აგრესიული ნაციონალიზმი, და ეს სავალალოდ ცნობილი ფაქტია, ფაშიზმში გადაიზარდა. საქართველოს მრავალი სირთულის დაძლევა უხდებოდა, წინ მოსკოვის გაბოროტება ეღობებოდა, უკან კი ოსეთისა და აბხაზეთის უხეში სეპარატიზმი მოყვებოდა. ჩემმა გადაწყვეტილებამ დსთ-ში შესვლისა შეანელა დაძაბულობა მოსკოვთანაც და მეამბოხე რეგიონებთანაც.

ტელერამა — ხომ არ გსურთ დაუახლოვოთ საქართველო ჩრდილო ატლანტიკურ ბლოკს (ნატოს)?

ე.შევარდნაძე — ამის იმედი არასოდეს მქონია. მე საკმაოდ კარგად ვიცნობ ნატოს და არც მიფიქრია, რომ საქართველოს შეუძლია გახდეს მისი წევრი! მაგრამ ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე სხვაგვარად აზროვნებდა. ერთ-ერთი მათგანი სულ იმას მიკიჟინებდა, გინდა თუ არა ნატოს ვეახლოთო. მაშინ მე იგი ნატოში მივავლინე, სთხოვე, მიგვიღონ-მეთქი. იგი ნატოს შტაბ-ბინიდან კუდამოძუებული დაბრუნდა. ამიერიდან, ამ განუხორციელებელ გეგმაზე სიტყვას აღარავინ სძრავს.

ტელერამა — ხომ არ ემუქრება დამოუკიდებელ საქართველოს რუსეთის პროტექტორატად გადაქცევის საფრთხე? სანამდე წახვალთ დათმობებზე?

ე.შევარდნაძე — ის, რაც აქამდე დავთმეთ, საკმარისი უნდა იყოს. ამაზე შორს ვეღარ წავალთ. თუკი ჩვენ რუსებს სამხედრო ბაზები დავუტოვეთ, ეს მხოლოდ იმის იმედით, რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენდით. მეტის დათმობა შეუძლებელია. ყოველი შეგნებული პატრიოტი გონიერ ნაციონალიზმს უნდა ემხრობოდეს. ჩვენც ამ კეთილთვისებიან ნაციონალიზმზე დაყრდნობით ავაგებთ სამართლიან ურთიერთობებს რუსეთთან.

ფრანგული ჟურნალი „ტელერამა“

თარგმნა გიორგი ეკიზაშვილმა

1 - წმინდა რემიმ მონათლა პირველი ფრანგი ქრისტიანი მეფე კლოვისი

ვაი, ჭკუისაგან

ახლოა დრო თქვენი აღსასრულისა

ღია წერილი გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას

ბატონო რედაქტორო, მე არ ვიცი, რა ასაკის ბრძანდებით, არ ვიცი რა არის საფუძველი თქვენი და თქვენნაირების ანტისტალინელობისა, მაგრამ კარგად ვიცი ის, რომ მალე დადგება თქვენი აღსასრულის დღეები.

ნამდვილი კომუნისტები ისე არ დაჩაჩანაკებულან, პასუხი ვერ გამოაჩინონ ჩვენთვის ყველაზე წმიდათა-წმიდა ლენინურ-სტალინური იდეების დაცინვისა და წლების მანძილზე აბუჩად აგდების გამო.

რამ დაგიბრმავათ ასე გონება, ნუთუ ვერ ხედავთ, რა პროცესები მიდის რუსეთში, ნუთუ ვერ აკვირდებით, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა კომუნისტების წინაშე ისევ მუხლებზე მოგიწევთ ჩოჩიალი. რა ჭირს თქვენი საკრიტიკო სტალინს, კაცს, რომელსაც ფეხზე უდგებოდა რუზველტი, ჩერჩილი, რომელიც აზანზარებდა დედამიწის ერთ მეექვსედს.

წაიკითხეთ და გამოაქვეყნეთ ჩერჩილის ეს სიტყვები სტალინზე თქმული, იქნებ ეშველოს რამე თქვენს ნაღრძობ ჭკუას.

არაპატივისცემით ვლადიმერ თასოშვილი

ომისა და შრომის ვეტერანი

სტალინს შეეძლო ყოველ დღეს მოეტყუებინა აწ განსვენებული რუზველტი, ხოლო ყოველ მეორე დღეს მე

რუსეთისათვის დიდი ბედნიერება იყო, რომ ტანჯვა-წამების წლებში მას სათავეში ედგა უდიდესი ქედმოუხრელი სარდალი სტალინი. ის იყო უძლეველი და ყველაზე მოქნილი პიროვნება, რომელიც შეეფერებოდა ჩვენს ცვალებადს და მკაცრ დროს. იმ მკაცრ ხანაში, რომელშიც მიმდინარეობდა მთელი მისი სიცოცხლე. სტალინი იყო უძლეველი ენერგიისა და ნებისყოფის ადამიანი, საუბარში ზოგჯერ მკაცრი, მკვეთრი, ფიცხი და დაუნდობელი. მის წინაშე მეც კი, რომელიც აქ ბრიტანეთის პარლამენტში აღვიზარდე, ბევრი არაფრის თქმა არ შემეძლო. უპირველეს ყოვლისა, მას გააჩნდა იუმორის გრძნობა და უთქმელი აზრის ზუსტად აღმოჩენის უნარი, სტალინში ეს ძალა იმდენად დიდი რამეა, რომ მას საგანგებო მნიშვნელობას ანიჭებდა ყველა ერის ერთმართველი და ხელმძღვანელი.

სტალინმა ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება დასტოვა: მას გააჩნდა ღრმა, დინჯი, ყოველგვარ პანიკას, ლოგიკურობას მოკლებული სიბრძნე. იყო მომენტისათვის შესაფერისი და გამოსავლის ცოდნის შეუდარებელი ოსტატი. გარდა ამისა იგი ყველაზე კრიტიკულ და ყველაზე საზიზმო მომენტში ერთნაირად თავდაჭერილი იყო და არასდროს ილუზიის სამოსელში არ ეხვეოდა, იგი იყო უაღრესად რთული პიროვნება, მიუწვდომელი დიქტატორი. მან შექმნა და მორჩილებაში მოიყვანა უზარმაზარი იმპერია. ის იყო ადამიანი, გენია, რომელმაც თავისი მტერი მოსპო თავისივე მტრის ხელით.

მე ვწერ იმ ადამიანზე, რომლის დაუძინებელი მტერი ვარ, მაგრამ მე მას პატივს ვცემ, როგორც დიდ სახელმწიფო მოღვაწეს, უდიდეს სამხედრო სტრატეგს, რომელსაც შეეძლო ყოველ დღეს მოეტყუებინა აწ განსვენებული რუზველტი, ხოლო ყოველ მეორე დღეს მე.

სიტყვა წარმოთქმულია ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჩერჩილის მიერ 1954 წელს ინგლისის თემთა პალატაში

განხილვა

„ქამუშაძის გაჭირვება“

ნოდარ გრიგალაშვილი

ჩვენ მიჩვეული ვართ იმას, რომ მწერალი მხატვრულ ნაწარმოებში ამა თუ იმ პრობლემას კონკრეტული პერსონაჟის, ან პერსონაჟთა ცხოვრების ფონზე წარმოაჩენს. წყვლა-კრულვიანი საკითხი, რომელიც საფუძვლად უდევს დავით კლდიაშვილის განსახილველ თხზულებას, ნაწარმოების სათაურშივეა გამოტანილი. ეს საკითხი, ეს დაწყევლილი პრობლემა გახლავთ გაჭირვება, სოციალური ბედუკუღმართობა. „ქამუშაძის გაჭირვება“ ამ თხზულებას იმდენად ჰქვია, რამდენადაც მოთხრობის მთავარი გმირია ახალგაზრდა გაჭირვებული აზნაური, — სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, მაგრამ ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ვრწმუნდებით, რომ ოტია ქამუშაძის ცხოვრების აღწერა მხოლოდ ფონია, მხოლოდ კონკრეტული მაგალითია საყოველთაო სიღატაკის საჩვენებლად. ამიტომ დავით კლდიაშვილის აღნიშნულ მოთხრობას, ისე როგორც ყველა მის ნაწარმოებს, ერთი საერთო სათაური შეიძლება „დაენათლოს“ — **„ცხოვრება მიუსაფართა და გაჭირვებულთა“**.

დიახ, დავით კლდიაშვილი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალი დროის თავისებური „აგიოგრაფია“ იმ განსხვავებით, რომ მაღალი იდეალებისათვის მარტვილ წმინდანთა ცხოვრებას კი არ აღწერს, არამედ ჩვეულებრივ, რიგით ადამიანთა არსებობისათვის ბრძოლასა და წამებას.

ადამიანი რომელიც მაღალი იდეისათვის მარტვილობს, ინარჩუნებს, იძენს და სრულყოფს ყოველგვარ სიწმინდეს, მაღალ ადამიანურ თვისებებს. ხოლო მოქალაქენი, რომელნიც, უბრალოდ, ფიზიკური ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე დგანან, რომელთაც კუჭი უხმებათ შიმშილით და ემუქრებათ შიმშილით სიკვდილი, მთელი ცხოვრება მარტვილობენ, მთელი ცხოვრება ეწამებიან. ეს წამება ყველა სხვა ტანჯვაზე უფრო მტანჯველია და გულისმომკვლელი, რადგან ამ ტანჯვაში ისინი ვერაფერს იძენენ. დანაკარგვით კი ჰკარგავენ ყველაფერს იმას, რაც ადამიანს ადამიანად ქმნის.

„ქამუშაძის გაჭირვება“ 1900 წელს დაიბეჭდა. ნაწარმოებში დასმულია მწვავე სოციალური პრობლემა, ეს პრობლემა დღესაც, თითქმის საუკუნის შემდეგაც არა ნაკლებ აქტუალურია თანამედროვე ქართველი მკითხველისათვის. ამდენად, თუ თხზულება მთელი სიმძაფრით განიცდება თანამედროვე მკითხველისაგან, ნაწარმოების მაღალმხატვრულ ღირსებებთან ერთად, ამაში ლომის წილი უდევს თვით პრობლემის აქტუალობასა და თანადროულობას.

ქამუშაძის გაჭირვება არ არის მხოლოდ ისტორიიდან გარიყულ კლასზე, „შემოდგომის აზნაურებზე“ დაწერილი მოთხრობა. მწვავე სოციალური სურათის ნეგატივზე აზნაურიცა და გლეხიც ერთნაირად უბადრუკ მდგომარეობაშია აღბეჭდილი, იმ განსხვავებით, რომ ოდესღაც მაძღარი, ახლა კი ახალ პირობებთან „შეგუებული“ აზნაური უფრო გასაცოდავებული გამოიყურება.

დავით კლდიაშვილის უმთავრესი თემაა არა ცალკე აზნაური, ან ცალკე გლეხკაცის, არამედ, საზოგადოდ, ადამიანის შეჭირვებული ყოფის ასახვა.

შიმშილით სული ძვრებათ არა მარტო აზნაურებს — ქამუშაძეებს, ქველიძეებს, სანიკიძეებს, ჭუთათელაძეებს და სხვებს, არამედ გლეხკაცთაც.

ყველას ოჯახში ერთნაირი „მდუღარე დუღს“. ყველა სასოწარკვეთილია. „მთელი სოფელი შეწუხებული იყო, — ვკითხულობთ მოთხრობაში, — შიმშილობა კარზე მომდგარი იყო. ყოველი მხრიდან გულის ამრევი ამბები ისმოდა. ჭირნახულის ფასი დღე-ღამეზე მატულობდა. ხელმოკლე სოფლელებისათვის მიუწვდომელი ხდებოდა სარჩოს ყიდვა. ერთ დღეს ხმა გავარდა, რომ თამარაშენის ზემო კუთხის გლეხი, პავლია მერაბიძე, ისე გამწარდა, რომ თავის ჩამოხრჩობა მოინდომა შიმშილის გამო, და ცოცხალ-მკვდარი ბაწრიდან ჩამოიღესო, — დროზე მიესწროთ. რამდენიმე კაცი, კიდევაც ასახელებდნენ, — სოფლიდან წასულიყო სამათხოვროდ ქალებით და ბავშვებით“.

ამ საზოგადო გაჭირვების წარმოდგენის შემდეგ, ცხადია, არ შეიძლება ვთქვათ, რომ დავით კლდიაშვილის სამყაროში მხოლოდ გაღატაკებული აზნაურები გმინავენ, გლეხებს კი, როგორც უფრო მშრომელებსა და ამტანთ, ულხინთ. არა, ასე არ გახლავთ საქმე. თუმცა გლეხობასა და აზნაურებს შორის დაპირისპირებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი და ეს პროცესი ასახა კიდეც დავით კლდიაშვილმა, მაგრამ რა კუთხით და რაგორ, ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ. ახლა კი, შესავალშივე, ერთი რამ უნდა განვაცხადოთ: დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა და მათ შორის „ქამუშაძის გაჭირვების“ ძირითადი თემაა არა კლასობრივი ანტაგონიზმის ჩვენება, არამედ ის, თუ რა სჭირს, როგორი ხდება ადამიანი, როგორი ხდება საზოგადოება შიმშილის, გაჭირვების, ეკონომიური სიდუხჭირის ჟამს.

რა სჭირს ადამიანს

სოციალურად ავადმყოფი საზოგადოება ავადმყოფ ადამიანებს შობს. „ქამუშაძის გაჭირვების“ მიხედვით, პირველი, რაც ასეთ საზოგადოებაში თვალში საცემია, არის ტოტალური გაუცხოება. გაუცხოება, რომელსაც საფუძვლად უდევს ადამიანთა წოდებრივი, ქონებრივი, ზნეობრივი, გონებრივი სხვადასხვაობა. უფრო მეტიც, ასეთ საზოგადოებაში შესაძლოა ადამიანები ერთი წოდების წარმომადგენლებიც იყვნენ, თანაბარი ქონების, ზნეობისა და გონების პატრონნი, მაგრამ მათ შორის მაინც სრული გაუცხოება სუფევდეს, რადგან გაჭირვებულ ადამიანებს ერთმანეთისთვის არ სცალიათ... ადამიანი, ბუნებისა და საზოგადოების ნაწილი, წყდება ბუნებასა და საზოგადოებას და საკუთარ თავში გამოკეტილი, თავის მძიმე ფიქრებთან დარჩენილი სრულ მარტოობას განიცდის. ასეთ იძულებით მარტოობაში, ერთი შეხედვით, თვინიერად გამოკეტილი ადამიანი ხაფანგში გაბმულივით წრიალებს, საკუთარ თავს აწყდება, ბორგავს, ნერვიულობს და მგელსავით აქეთ-იქით აცეცებს თვალებს, თუ ვის მიუხტეს, ვის წაგლიჯოს, ვინ გააუბედუროს, რომ თავისი დაწყევლილი ცხოვრება ცოტა მაინც გამოასწოროს. გადარჩენის ინსტინქტით მცხოვრები კაცი მხეცი ხდება და იმარჯვებს ის, ვისაც შეუძლია მოხერხებულად, სხვათა შეუმჩნევლად მოირგოს მხეცის ნიღაბი. მოხერხებულად და შეუმჩნევლად, რადგან სხვებმა ეს არ უნდა შენიშნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის სხვები აღარ გაცუცურაკდებიან, აღარ მოტყვილდებიან.

საყოველთაო გაჭირვების ჟამს მეზობელი მეზობელს არ ინდობს, ძმა — ძმას, დედა — შვილს, შვილი — დედას.

ასეთ შემზარავ სურათს ხატავს მწერალი „ქამუშაძის გაჭირვებაში“.

დაბოლოს, ყოველივე ამას ემატება შელახული თავმოყვარეობის გამო ძლიერი სულიერი ტანჯვა, რისგან „თავის დაწევა“ ისევ გაუცხოებით ხდება. ადამიანი გაურბის საკუთარ თავს, არ სურს დაინახოს თავისი რეალური მდგომარეობა, არ სურს შეეგუოს თავის ყოფას და ცდილობს თავი წარმოგვიდგინოს არა იმად რაც არის, არამედ ისეთად, როგორიც სურს იყოს. ამით კი იგი ემსგავსება იმ სირაქლემას, რომელსაც თავი ქვიშაში ჩაურგავს, შეუმჩნეველი რომ გახდეს...

იმდენად დიდია კლდიაშვილის გმირებში ადამიანურად ცხოვრების ჟინი, რომ ოდესღაც მართლა არსებული, მაგრამ ახლა მხოლოდ ოცნებებში გამონაკვთული, სასურველი ყოფა, რეალურად ეჩვენებათ. მათთვის დარღვეულია ზღვარი ილუზიურსა და ნამდვილს შორის, ის რაც სურთ იყონ, ჰგონიათ რომ მართლა არიან. ეს არის თავისებური გაქცევა სინამდვილიდან, ზურგის შექცევა, პროტესტი მკაცრი რეალობის მიმართ. ამ თვითდაჯერებას, ასეთ თვითდარწმუნებას ისინი განიმტკიცებენ ტრაბახით, ბაქიაობით, ამპარტავნობით. იმდენად გათავისებული აქვთ სასურველი როლი, რომ ჰქონიათ, ეს როლი კი არა, მათი ნამდვილი სახეა და ცხოვრობენ ასე, — „კმაყოფილნი“. ეს გამაოგნებელი „კმაყოფილება“ აქცევთ მათ კომიკურ პერსონაჟებად. ეს „კმაყოფილი“ გმირები მკითხველში იწვევენ სვდანარევი ღიმილის გრძნობას. დროდადრო კი ცხოვრება მთელი თავისი სიმკაცრით წამოიფოფრება და კლდიაშვილის პერსონაჟთა კმაყოფილებას ერთი დაკვრით აცამტვერებს. სასურველი როლით, სინამდვილედ წარმოდგენილი ილუზიებით მცხოვრენი, ამ დროს უბრუნდებიან საკუთარ თავს და ხაფანგში გაბმულებივით წრიალებენ. სულის სიღრმემდე შესძრავთ თავიანთი ყოფის ტრაგიკული განცდა, მაგრამ გამოსავალი მათთვის არ ჩანს.

ტოტალური სიღარიბე და გაჭირვება ადამიანს შლის, ანადგურებს სულიერად და ზნეობრივად. მისთვის აღარ არსებობს მეგობრობა, სიკეთე, სიყვარული, სინდისი.

„ქამუშაძის გაჭირვებაში“ მავანი თხოვდება, მავანს ცოლი მოჰყავს, მაგრამ ამ ნაწარმოებში თქვენ ვერ ნახავთ პერსონაჟებს, რომელთაც სიყვარულით უთრთით გული. სიყვარული კლდიაშვილის სამყაროდან გაძევებულია, რადგან ლუკმა-პურის მოსაპოვებლად გამთენიიდან დაღამებამდე ყანაში ჩამდგარ, წელში გაღუნულ ადამიანებს სულის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ ცალიათ, მათ ცხოვრებას კუჭი განაგებს, მშიერი კუჭი. დამშეული ადამიანი კი საშიშია, დაუნდობელი. აი, იმ საფიქრალთა წყება, რომელსაც აღძრავს „ქამუშაძის გაჭირვება“. ზოგადად, ყოველივე ეს ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს:

უბედურია ქვეყანა, სადაც უპირველესი პრობლემა კუჭის პრობლემა, არსებობისათვის ბრძოლაა.

უბედურია დამშეული საზოგადოება, ცოდვიანია, უსიყვარულო და გაუტანელი იგი. ასეთ საზოგადოებაში ნიჭიერიც ის არის, ძლიერიცა და კეთილდღეობაში მყოფიც, ვინც რიგით მატყუარებზე უფრო მეტი მატყუარაა, ვინც ყველაზე გაქნილი და მოხერხებულია.

„ქამუშაძის გაჭირვება“, როგორც ვთქვი 1900 წელს დაიბეჭდა. საუბედუროდ, ყველა ზემოთნახსენები პრობლემა დღევანდელი დღის პრობლემაც არის.

ახლა კი ცალ-ცალკე წარმოვადგინოთ ის საკითხები, რომელნიც „ქამუშაძის გაჭირვების“ სიუჟეტშია ჩაფენილი.

გაუცხოება წოდებათა შორის

თამარაშენში კანცელარიის წინ, შაბათობით იკრიბებოდნენ გლეხები და ღარიბი აზნაურები. ეს ხალხი არაფრით განირჩეოდა ერთმანეთისაგან. თითოეული მათგანის ჩაცმულობა და დაღვრემილი სახე მათ სიდუხჭირეს ადასტურებდა. მაგრამ აზნაურებს სისხლსა და ხორცში გამჯდარი უპირატესობის გრძნობა უბიძგებდათ ეანკერძოებულიყვნენ. მათ აქ ცალკე ადგილი ჰქონდათ აჩენილი, — ამ „ცაცხვს, რომლის ქვეშაც ჯდომა იცოდნენ, „აზნაურების ცაცხვი“-ს სახელიც კი დაერქვა. ეს მცირე დეტალი ზუსტად ხატავს წოდებათა ურთიერთობის სურათს. ერთნაირად დამშეულ აზნაურსა და გლეხს შორის ნაცვლად იმისა, რომ თანალმობის ხიდი გაიდოს, შეუვალი კედელი აღმართულა. აზნაური გლეხს არ კადრულობს, მასთან ჯდომას და მუსაიფს თაკილობს.

ასეთი ამპარტავნობა კი მეტისმეტად კომიკური ჩანს გაღატაკებულ აზნაურთა ცხოვრების ფონზე. აზნაურები იძულებულნი არიან ისევე თავდაუზოგავად ებრძოლონ მიწას, როგორც გლეხი შრომობს. ოტია ქამუშაძე გამთენიიდან გადის ყანაში და ზედ აკვდება სახნისს, ისე როგორც მის მეზობლად მისსავე დღეში მყოფი აზნაურები და გლეხები. ასეთ დროს ოტიას „ყველაფერი დავიწყებული ჰქონდა: თავისი წოდებაც, გვარიშვილობაც, სიამაყეც. იგი იყო მუშა, გულმოდგინე, თავდაუზოგველი მუშა“.

ერთხელ, ამ ყოფაში ნახა ოტია მისმა ახლადშერთულმა მეუღლემ. შეურაცხყოფილ აზნაურს ქალს ბოღმით გული გაუსივდა. „იგი თავისი თვალით ხედავდა, ამ წამში, ამხანად, მისი ქმარი, სახელად ოტია, გვარად ქამუშაძე, წოდებით აზნაური, იყო ნამდვილი გლეხი, მუშა გლეხი, ყოველი მხრივ ისეთივე გლეხი, როგორც აი, გადაღმა ყანაში მომუშავე პეტრია დინარაძე...

გულმოკლული, დაღონებული, გარეტიანებული დაბრუნდა სონია სახლში და თვალწინ მოუშორებლად უდგა მისი ქმარი — გლეხი, ყაზახი გარეგნობით, შეხედულებით, საქციელით, მოქმედებით და შეძლებით... შეძლებითაც“.

როგორც ვხედავთ შრომა, გლეხივით შრომა, აზნაურისათვის სულის სიღრმემდე შემძვრელი და შეურაცხმყოფელია, მაგრამ სხვა გზა არ აქვს, სხვა გამოსავალი არ ჩანს, უნდა „გაყაზახდეს“ და მიწის მუშად იქცეს. აკი ასეც ხდება, მაგრამ აზნაურობას, ბატონობას მაინც ვერ ივიწყებს და კუდაბზიკობა სასაცილო დღეში ადგებს.

ოტიას ბიძა, ლევან ქამუშაძე შიმშილით მოკვდა, „გოგო“ ოტიასთან შემოირბენს და ყვირის: არიქათ, გვიშველეთ, ბატონი კვდება, ბატონიო.

შიმშილით კაცს სული ძვრება, მას კი ისევ „ბატონად“ იხსენიებენ. ეს ერთადერთი სიტყვა მთელი სისრულით ხატავს აზნაურთა ტრაგიკომიკურ ყოფას. ხომ ასე გაჭირვებულია ოტია და მისი ოჯახი და მაინც, როდესაც სონია შეიტყობს რომ ოტიას სურს შეძლებულ გლეხს, სამადაძეს მოანათვლინოს შვილი, შეურაცხყოფისაგან გადაირევა. გლეხთან დანათესავება მისთვის უბედურების ტოლფასია.

როგორც იქნა სონია დაიყოლიეს. სამადაძეს ბავშვი მოანათვლინეს.

ნათლობის სუფრაზე თანამეინახენი ერთმანეთს აუშარდნენ. გამობრუჟული, აბანცალებული სამადაძე მოჩხუბართა გაშველებას მოინდომებს და აჭინჭყლებულ აზნაურს, ბესარიონ ქამუშაძეს აჩუმებს.

— გაწყინა პატივისცემამ, ყაზახო?! — წამოენთო აზნაური და გულმოსულმა მუშტი წაჰკრა „გათავხედებულ“ გლეხს,

— ყაზახი ვარ! — შეჰყვირა სამადაძემ,

— ყაზახი ვარ, მარა შენისთანა შემოდგომის აზნაური შვილს კიდევ ყობიერ!

ამ „შემოდგომის აზნაურის“ ხსენებამ ბევრი ააპილპილა.

— გააგდეთ მაგ... გააგდეთ მაგ ქინქლიანი ყაზახი!..

ოტიას ოჯახს, როცა უკიდურესად გაუჭირდა, როცა ცივი ჭადიც სანატრელი გაუხდა, ამპარტავანი ეკვირინე იძულებული გახდა „ქინქლიან ყაზახს“ სამადაძეს მისდგომოდა და მისთვის ეთხოვა სიმინდი. გლეხმა უარი არ უთხრა, მაგრამ საყურადღებო ის არი, რომ ღამით, ჩუმად გადაუტანა, მეზობელს რომ არ დაენახა და ქამუშაძეებს სოფელ-ქვეყანაში თავი არ მოსწროდათ...

აი, ასე თავაღერილნი დაჰყურებდნენ „შემოდგომის აზნაურები“ მეზობელ გლეხებს. გაჭირვებას, ერთ ბედქვეშ ყოფნას ისინი თითქოს უნდა დაეახლოვებინა, წოდებრივი განსხვავებულობის უკვე ბალავარგამოცლილი კედელი უნდა მოერყია და დაენგრია, მაგრამ ასე არ მოხდა. სიღატაკე, როგორც ჩანს, ადამიანთა თანალმობის საფუძვლად ვერ იქცევა, პირიქით, იგი უფრო თიშავს და აბოროტებს სხვადასხვა წოდების ადამიანებს. მაგრამ იქნებ ერთი წრის წარმომადგენლებს ჰკრავს ერთ მუშტად საერთო სატკივარი, იქნებ თვით აზნაურები პოულობენ ერთურთთან საერთო ენას? არა და არა. ერთი და იგივე წრის წარმომადგენლები კიდევ უფრო გულდახშულნი არიან ერთმანეთის მიმართ. „ქამუშაძის გაჭირვებაში“ შესაბამისი მაგალითები სანთლის საძებნელი არ გახლავთ.

„ჩვენ აღარც კი ვეკარებით ერთმანეთს“

ამ სიტყვებით გამოხატა ოტიას დედამ, ეკვირინეს თავის მაზლთან და სანათესაოსთან დამოკიდებულება. დიახ, ერთი წრის ხალხი, მეზობლები, ნათესავები ერთმანეთის უბედურებით ხარობენ.

უცნაური რამ სჭირს გაუბედურებულ ადამიანს. თუ უბედურება საყოველთაოა, — უფრო უძლებს პირად გაჭირვებას. ხოლო თუ „მარტოისად“ მასზედ „არიან ჭირნი ესე“, სხვანი კი დალხენილად 'ცხოვრობენ, მაშინ ორმაგად ბედკრულად მიიჩნევს თავს. ერთიც არის, დატანჯულმა კაცმა, თუ კიდევ უფრო მეტად გაწამებული იხილა, როგორღაც თვითკმაყოფილების გრძნობა უჩნდება, აქაოდა ჩემზედ უბედურებიც ყოფილან ქვეყანაზე და მადლი უფალს, მთასავით რომ არ ვარ დაცემული და იმათებურად რომ არ მიჭირავს სული კბილითო.

სიკეთის მადლისგან დაცლილი ადამიანებისთვის ასეთი ფიქრი ჩვეულებრივია და „ადამიანური“. ასე ხდება „ქამუშაძის გაჭირვებაშიც“.

ოტიას ბიძის, ლევან ქამუშაძის ოჯახი სრულიად გაპარტახებულია, მოხუცი აზნაური სიკვდილს ნატრობს. უფრო მეტი სიღატაკე, რაც ამ სახლში სუფევს, წარმოუდგენელია. მათი ხილვით გულდათუთქული სონია ქმრის ნათესავებს შეიბრალებს, ეს არ ესიამოვნება მის დედამთილს, ეკვირინეს და ნიშნის მოგებით ლაპარაკობს: „ახლა ტირის მაგ შავ დღეზეგაჩენილი თავის საქმეს? აქამდისინ სად იყო?“.

მოხუც ლევანსა და მის ცოლს ეფროსინეს ასევე მტრად გადასდგომია ოტიას მეორე ბიძის, ომანის სახლეული.

ეკვირინე კი თავის მხრივ მხოლოდ ლევანის კი არა, ომანის ოჯახსაც დღედაღამ წყევლის და თაქავს.

— რა საცოდავი ყოფილა, ბეჩა, ეს უბედური ომანი! — ახლა ომანის სიღატაკის ხილვას აუჩვილებია სონიას გული.

— საცოდავი არიან, აბა!.. მარა მაინც არ წყნარდებიან, ყოველთვის ერთ შფოთსა და უბედურებაში არიან. ვერაფერმა ვერ დაამშვიდა... ვერც სიღარიბემ და ვერც სიღატაკემ, — იქედნურად უპასუხა რძალს ეკვირინემ.

ომანს შვილი გარდაეცვალა. დამწუხრებულ სონიას ეკვირინე მიმართავს: „შენ კარგად მყავდე და მაგათ თავი უტეხიათ, ერთმანეთიც ამოუწყვეტიათ... წყდებიან ხომ მაინც! ღმერთო ნუ მიწყენ და იმ ბავშვის სიკვდილი, კაცმა რომ თქვას, მადლიცაა — რა ცხოვრება მოელოდა საწყალს რომ გაზრდილიყო... იმდენ სულში, რაც იმ ოჯახშია, რა უნდა რგებოდა მას, რა შეხვდებოდა საწილოში?...“

არ იფიქროთ ეკვირინეა გაბოროტებული და მხოლოდ მას არ მიაქვს სხვისი ჭირი გულთან. არა, ასეთია ყველა. სიღატაკემ გამოჰკვება სისასტიკე. გაუცივა გული მეზობლებს, ნათესავებს. თუ ახლო სანათესაო ასე გადაკიდებულია ერთმანეთზე, რა ურთიერთობა უნდა იყოს მეზობლებს შორის.

სისასტიკეს თვით ოჯახის წევრთა ურთიერთობებშიც შეუღწევია. ერთ ოჯახში ერთი კერის პირას მიმსხდარ ხალხს აღარაფერი აკავშირებთ ერთმანეთთან. ყველა თავ-თავის საფიქრალს მისცემია და მათ შორისაც სრული გაუცხოება სუფევს.

მონანიება

პოლიტიკური პარტიების მიერ შედგენილი განცხადების ქვემოთწარმოდგენილი ტექსტი არაორდინალური და უმნიშვნელოვანესია. არაორდინალური იმდენად, რამდენადაც მას ხელს აწერენ თავის დროზე ურთიერთდაპირისპირებული ძალების წარმომადგენლები. უმნიშვნელოვანესი კი იმით გახლავთ, რომ პირველად, გადატრიალების შემდეგ, საჯაროდ ფიქსირდება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილე პირების მიერ საკუთარ თავზე აღებული პასუხისმგებლობის მომენტი. ეს ტექსტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პოლიტიკური კათარზისის დაწყების მაცნეა. საკუთარი შეცდომების აღიარება, ვფიქრობთ, გათიშული პოლიტიკურ ძალების გამთლიანებას შეუწყობს ხელს. გამთლიანების გარეშე კი, გათითოკაცებული საქართველო რა დღეშიც არის, ყველა კარგად ვხედავთ...

„საქართველოს“ რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონიერი ხელისუფლებისათვის ცეცხლის გახსნა სახელმწიფოსათვის ცეცხლის გახსნაა და იგი უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ნებისმიერი თანამდებობის პირის სიცოცხლის ხელყოფა

დღევანდელი ვითარების პოლიტიკური და ზნეობრივი შეფასება

თითქმის ხუთი წლის წინ, 1991 წლის დეკემბრის დამლევს და 1992 წლის იანვრის პირველ რიცხვებში, საქართველოში მოხდა უდიდესი ისტორიული დანაშაული — კანონიერი ხელისუფლების დამხობა შეიარაღებული ძალით და უცხო ოკუპანტი ქვეყნის ხელშეწყობით. თავისუფლება, რომელსაც ქართველმა ხალხმა სისხლის ზღვა შესწირა 1921 წლიდან დღემდე, რათა თავისი ეროვნული სულისკვეთება და სიამაყე შეენახა ულმობელი საბჭოთა იმპერიის ძლევამოსილების ათწლეულთა მანძილზე და რომელიც დღევანდელმა თაობებმა შედარებით ნაკლები სისხლითა და მსხვერპლით მოიპოვეს ახლა, საბჭოთა იმპერიის დაქცევითებასა და გარდუვალი რღვევის ეპოქაში, კითხვის ქვეშ დადგა. უფრო მეტიც. თავისუფლების ხელყოფასთან ერთად ქართველი ერის ისტორიული მიწა-წყლის, კეთილდღეობის, ყოველდღიური ლუკმის, თვით მისი სიცოცხლის ხელყოფის ნელი, მაგრამ კარგად დაგეგმილი პროცესი დაიწყო. ეს ეროვნული უბედურება შესაძლებელი გახადა მოელმა რიგმა ობიექტურმა გარემოებებმა, როგორიც იყო მტრის მრავალათასიანი აგენტურის არსებობა მოსახლეობის ყველა ფენაში და ყველა უჯრედში, პოლიტიკური პარტიების ჩათვლით, სახელმწიფოებრივად გადაჩეკული ხალხის დაბალი პოლიტიკური კულტურა და მორალური უკონტროლობა პოლიტიკური ლიდერებისა და ფესვეკა ლიდერების მიმართ საზოგადოების მხრიდან, პოლიტიკურ პროცესთა მონაწილეების წვრილმანი ქვენაგრძნობები და არასაპატიო ვნებები ამბიციის, ურთიერთშურისა და პატივმოყვარეობის ჩათვლით, ეროვნული კადრის სიმწირე და არაკრიტიკული მიდგომა საკუთარი თავისადმი, რამაც განაპირობა ხელისუფლების პროფესიული სისუსტე, აგრეთვე განათლების ნაკლებობით გამოწვეული გულუბრყვილობა, რომელსაც ხალხის მასა გამარჯვების ეიფორიით აიტაცა და დროულად არ გააცნობიერებინა თუ ვინ იმალებოდა და რა განსრახვა იმალებოდა საქართველოში მიმდინარე პროცესების უკან. ომებში, რომლებიც მანამდისაც დაწყებული იყო უკვე, მაგრამ გადატრიალების შემდეგდა გაიშალა მთელი სისრულით, უიარაღოდ, უსაკვებოდ და უვარგისი სარდლების ხელში დარჩენილმა ქართველმა ჯარისკაცმა უფრო დიდი ფიზიკური და მორალური ტვირთის გაძლების უნარი გამოამჟღავნა, ვიდრე ის ტვირთი იყო, რამაც მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ჯარისკაცს მოუწია, ხოლო ხელოვნურ სამოქალაქო ომში ჩაბმულმა ქართველმა ერმა — უნიკალური მდგრადობა და მაღალი ისტორიული შეგნება, როცა პროვოკაციას არ აჰყვა და თავისი პოლიტიკური და ზნეობრივი მოლიანობა თვალის ჩინივით შეინახა. მიუხედავად ამისა, ერთხელ მორყეული და შემდეგ ძალადობით დანგრეული სახელმწიფო მანქანა დღემდე არ აღდგა. ცბიერი მტრის ულმობელი შემოტევა ჩვენ ქვეყანაზე არ შეწყდა. მოვიდა მტერი და დაეუფლა ჩვენი ქვეყნის საჭეს. ეროვნულ ხელისუფლებას, რომელიც თავისი გამოუცდელობითა და სისუსტით საბედისწერო შეცდომებს უშვებდა, მაგრამ სულისკვეთებით ეროვნული იყო, მან — სწორედ მისი ამ ეროვნულობის გამო, — „პროვინციული ფაშიზმი“ უწოდა, ხოლო დეკემბერ-იანვრის დანაშაულებრივ გადატრიალებას — „საერთო-სახალხო აჯანყება“. უსირცხვილობით, რომელიც ლენინ-სტალინის ეპოქის კომუნისტებსაც კი შეეხარბებოდათ, რესტავრირებულმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ თავისი იავი ეროვნული სახელმწიფოებრიობის მატარებლად გამოაცხადა იმ ერთადერთი მიზნით, რომ სახელმწიფოს ნგრევის პროცესი, რომელსაც იგი უკვე ოთხი წელიწადია ახორციელებს, ჩაითვალოს საქართველოს დამოუკიდებლობის ნაყოფად და არა იმპერიულ-კომუნისტური ხელისუფლების რესტავრაციის, საქართველოს „ესესგესთან“ მიბმის, რუსეთისადმი საქართველოს წინააღმდეგ წარმოებული არაოფიციალური ომის პატიების, მისდამი საქართველოს ეკონომიკის ჩუმი დაქვემდებარების და, განსაკუთრებით, საქართველოში უცხო ქვეყნის აგენტურის შეუფერხებელი თარეშის შედეგად. დღეს ვხედავთ, რომ მტრის ეს პოლიტიკა შედეგს აღწევს. ხელოვნურად შექმნილი გაჭირვებისაგან გაშწარებული ადამიანების ერთი ნაწილი უკვე გაიძახის „აღადგინეთ

ბარემ ეს საბჭოთა კავშირი და ამოგვასუნთქეთო“, თითქოს რუსულ იმპერიას დღესაც კიდევ შეეძლოს მანეთიანი შაქრისა და სამმანეთანახევრიანი კარაქის მიცემა თავისი ერთგული მონებისათვის, როგორც ადრე შეეძლო.

ობიექტური პირობები, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, არ ამსუბუქებს დღეს მაცხოვრებელი თაობების პასუხისმგებლობას იმაზე, რაც მოხდა და რაც ხდება. სხვადასხვა ზომით და სხვადასხვა ფორმით პასუხისმგებელნი ვართ ყველანი, დღეს ცოცხალი და ფეხზე მდგომი ქართველები, რადგან ჩვენს სიცოცხლეში დავუშვით და წინააღმდეგობა ვერ გავუწიეთ იმას, რომ ჩვენი ქვეყანა საკუთარი ხელითვე დანგრეულია და მტრები ჩვენზე გამარჯვებას ზეიმობენ. ჩამოვთვალოთ კონკრეტულად. ჯერ ერთი, პასუხისმგებლობა აწევს თვით ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას მის მთლიანობაში, რომელსაც ვერ შეძლო ერის ჯანსაღი ძალები, განურჩევლად მათი პირადი თუ ჯგუფური ურთიერთდამოკიდებულებისა, დეერაზმა სამშობლოს გადარჩენის დროშის ქვეშ, ვინაიდან ქვეყნის მართვის საქე, ნაცვლად სულიერი და გონებრივი ძალით გამორჩეული პატრიოტებისა მან მეტისმეტად ხშირ შემთხვევაში შემთხვევით ადამიანებს, უუნარო და ზოგჯერ ორგულ ადამიანებს ჩაბარა. შემდეგ, პასუხისმგებლობა აწევთ მმართველი გუნდისა და უხუნაესი საბჭოს გარეთ მდგომ პოლიტიკურ პარტიებსა და ჯგუფებს, რომლებმაც არჩიეს ხელისუფლების მცირე და დიდი შეცდომების გამოყენება მისი ნაკლოვანებების სამხილებლად შინ და გარეთ, ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებასთან უხმაურო და ნაყოფიერ თანაშრომლობას ცდილიყვნენ, რითაც მრავალი ამ შეცდომათგანის თუ გასწორება არა, შერბილება მაინც შესაძლებელი იქნებოდა. ამგვარადვე, პასუხისმგებლობა აწევთ უზენაეს საბჭოში მყოფ პატრიოტულ ძალებს, რომლებიც მმართველი გუნდისადმი ოპოზიციაში იდგნენ გასატარებელი პოლიტიკის ამა თუ იმ პუნქტების გამო, მაგრამ ვერ გაიაზრეს, რომ პოლიტიკურ პოზიციათა გარკვევის ამ პროცესს მოწმე ჰყავდა აქვე ჩასაფრებული შინაური და საგარეო მტრის სახით, რომელიც „გამარჯლებას“ ეძებდა, ქვეყანაში ნამდვილი ან მოჩვენებითი პოლიტიკური დაძაბულობის არსებობის სახით, რათა პროვოკაციების მოწყობა და ქვეყნის წინააღმდეგ შეიარაღებული მოქმედება დაეწყო; პასუხისმგებელნი არიან ისინი, ვინც თავისი დანაშაულებრივი სიბრმავით ან სამშობლოს ღალატის პირდაპირი განზრახვით ხელთ იარაღი აიღო და სახელმწიფოს ცეცხლი გაუხსნა (რადგან კანონიერი ხელისუფლებისათვის ცეცხლის გახსნა სახელმწიფოსათვის ცეცხლის გახსნაა და იგი უფრო მძიმე დანაშაულია, ვიდრე ნებისმიერი თანამდებობის პირის სიცოცხლის ხელყოფა). განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აწევს, რა თქმა უნდა, ერის მთელს ასე თუ ისე პოლიტიკაში ჩახედულ ნაწილს, რომელსაც ჭარბობდა — ისევ და ისევ პირად და ჯგუფურ ურთიერთდამოკიდებულებათა განურჩევლად — მკურდთ აღდგომოდა წინ კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებულ ხელყოფას, მაგრამ არ აღუდგა და, ამგვარად, არ მოიხადა თავისი ეროვნული და მოქალაქეობრივი მოვალეობა ქვეყნის წინაშე. ყველა ამ ადამიანთა ცოდვა, შეცდომა და ბრალეულობა ცას შეჭალადებს. ყველას თავ-თავისას მიუზღავს არა მხოლოდ პირუთვნელი ისტორია, არამედ, ობიექტური პროცესუალური გამოძიებაც და სასამართლოც, რომელსაც იმედი გვაქვს, დღეს მაცხოვრებელია უფროსი თაობებიც იხილავენ. ჩვენ, ქვემორე ხელის მოწერ პოლიტიკურ ორგანიზაციებს და იმ ადამიანებს, ვის აზრსაც ჩვენ გამოვხატავთ, სავსებით შეგნებული გვაქვს საკუთარი, ერთმანეთის და ზემოთ მოხსენებული სხვა ჯგუფების პასუხისმგებლობის ზომა და მიმართულება საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის გამო. მაგრამ შეგნებული გვაქვს ისიც, რომ დღეს არ არის ისტორიის მსჯავრის წინასწარმეტყველების დრო, რადგან დღეს საქართველოს ომი აქვს თავისი გადარჩენისათვის მსოფლიოს ყველაზე ბნელსა და ულმობელ ძალებთან და ქვეყნისთვის უმჯობესია, რომ ამ ბრძოლის გამარჯვებით დამთავრებამდე წინ ვიყუროთ, ჩვენი უშუალო ამოცანებისკენ, და არა უკან. საქართველოს დღეს ისე უჭირს, როგორც არასდროს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი ერის უკლებლივ ყველა შვილი, ვისაც ქვეყნის წინაშე მოვალეობის შეგნება აქვს, დღეს მხარდამხარ უნდა ჩადგეს ჩვენი თავისუფლების დამცველთა რიგში, რადგან ხსნის სხვა წყარო, თუ არ ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა, დღეს საქართველოს არ მოეპოვება. ამიტომაცაა, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელი პარტიები და პოლიტიკური გაერთიანებები ქმნიან ერთობლივ საკოორდინაციო ცენტრს და ამ კოორდინაციაში ანუ ჩვენი ქვეყნის გადარჩენისათვის ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად იწვევენ ქართველი ერის ყველა ჯანსაღ ძალას საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი გადარჩენის კონცეფციის მიხედვით, რომელსაც შემოგთავაზებთ.

ნოდარ ნათაძე
გურამ გოგბაიძე
კონსტანტინე
გუგულაშვილი
მ. კიკნაძე
ირაკლი წერეთელი

ჩრდილები

პირადი დაცვა დღეს ყველას ჰყავს მსახიობებიდან დაწყებული, სრულიად რუსეთის პატრიარქ ალექსი მეორით დამთავრებული, რომელიც ამ აღდგომის დღესასწაულზე მოკლედ თმაგაკრეჭილ ორ მუტრუკთან ერთად გამოჩნდა და ეს ღვთიური დღესასწაული ამით თითქოს უფრო მიწიერი გახდა. და მაინც. ადამიანის დაცვა სიცოცხლის ხელყოფისაგან კეთილშობილური საქმეა.

ვინ და როგორ იცავს რუსეთის პრეზიდენტობის კანდიდატებს?

მილიარდერის გვარდიელები

ვლადიმერ ბრინცალოვი დუმაშიც კი დაცვით დადის. ორი ახალგაზრდა შეუვალი ფიზიონომიით ჩრდილივით სდევს მას. მათ შესახებ თვით დაცვის ობიექტი ჰყვება: — მე უკვე ნაციონალური მონაპოვარი ვარ. მე გაფრთხილება მინდა. მთავრობა ამას არ აკეთებს, იძულებული ვარ, თავად ვიფიქრო ამაზე. და ფიქრობს — თვეში 1300 დოლარს უხდის თითოეულს.

— ასეთი წესი იყო ადრე, აგრძელებს ბრინცალოვი, — მანქანა და ცოლი არავისთვის არ უნდა გეთხოვებინა, ახლა ამ წესში დამატება შევიტანე: მანქანა, ცოლი და დაცვა არავის ვათხოვო.

ზიუგანოვის ჩრდილები

კომპარტიის გენერალური მდივნის დაცვის უფროსი ვინმე ტარნეევი პატრონს სიყვარულით ბელადს უწოდებს. მას ეს სულაც არა სწყინს. ყველაზე უმცროსი ამ სამსახურში ოცდახუთი წლის ნიკოლაი მაშუსტინია. დაცვაში იგი რწმენამ მიიყვანა. მალე იგი პარტიის კანდიდატად მიიღეს და სჯერა, რომ დემოკრატიული პრესა ტყუილად ცდილობს მისი პატრონის ცუდ კაცად დახატვას. „ეს ასე არ არის, მთელი ცხოვრების მანძილზე გენადი ანდრეევიჩზე მოკრძალებული ადამიანი არ მინახავს“, — აცხადებს იგი.

გორბაჩოვი და მისი რაზმი

პრეზიდენტობის პერიოდში გორბაჩოვის დაცვას ოცი კაცი ემსახურებოდა. ახლა მხოლოდ ოთხია. ექსპრეზიდენტის პირადი დაცვის უფროსად 1991 წელს დაინიშნა უშიშროების გენერალი ვალერი პესტოვი. გორბაჩოვის „ოცეულისაგან“ ელცინის დაცვაში გასაგებია, რომ არავინ მოხვედრილა. პესტოვმა მოღვაწეობა ჯერ კიდევ ბრეჟნევის დაცვაში დაიწყო, ჯერ პრაპორშჩიკად, ოფიცრად და დაამთავრა აკადემია. 1991 წლის აგვისტოს იმ შავ დღეს იგი გორბაჩოვთან არ იყო, ისვენებდა. გაიგო თუ არა, სასწრაფოდ გამოცხადდა. „კრუჩკოვის, იაზოვისა და პუგოსაგან გორბაჩოვი ამას არ მოელოდა, — იგონებს შემდეგში პესტოვი, — იგი მათ ენდობოდა. ახლა მუშაობა უფრო მშვიდია. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი პრეზიდენტი აღარაა, ჩვენი ურთიერთობა უფრო თბილია. ადრე მხოლოდ სამსახურებრივი დამოუკიდებულება გვქონდა, ახლა ვმეგობრობთ“.

ჟირინოვსკის „არწივები“

ვლადიმერ აფიონინი ვლადიმერ ვოლფოვიჩის დაცვის სამსახურის ხელმძღვანელია, აბსოლუტური ანტიპოდი თავისი პატრონისა: მშვიდი, ინტელიგენტური. 15 წელი სპეცდანიშნულება „ალფაში“ იმუშავა. ყველა ცხელ წერტილში მოუხდა ყოფნა: თბილისი, ბაკო, ერევანი, სანკტპეტერბურგი, ვილნიუსი, ავღანეთი... წელიწადნახევრის წინ მან შეცვალა ამ თანამდებობაზე ვლადიმერ კოსტიუტკინი, რომელიც სახელმწიფო დუმაში პარტიული სიებით გადაიყვანა ვოლფოვიჩმა.

რატომ შეაჩერა არჩევანი აფიონინმა ჟირინოვსკიზე? — მე მომწონს ის იდეები, რომელსაც იგი ქადაგებს: ყველა რუსი, ნაციონალობის მიუხედავად, უნდა ცხოვრობდეს მშვიდად და ბედნიერად.

აფიონინის მუშაობის მთელი სირთულე პატრონის ჭირვეულ ხასიათშია. „ადამიანი, რომელიც ვლადიმერ ვოლფოვიჩთან იმუშავებს, შემდგომში შეძლებს ყოველგვარ დაცვაში მუშაობას“, — ამბობს იგი.

დაცვის აპარატში ყოველნაირად მომზადებული ადამიანები მუშაობენ და, რაც მთავარია, არა ფულისათვის.

საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველებისათვის «საქართველოს» რეკლამა არ სჭირდება. მხოლოდ გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს ხელმოწერა გაზეთ «საქართველოზე»

საქართველო

იგი ახლოს იცნობდა ბელადებს ანუ ლავრენტი ბერიას კიდევ ერთი სიყვარულის შესახებ

ტატიანა ოკუნევსკაიას სიცოცხლე ზღაპარივით დაიწყო. სცენის, ეკრანისა და ცხოვრების დედოფალი უშიშარი და ექსცენტრული იყო. მოსწონდა მსახიობობა, თამაშობდა ახალგაზრდა, ლამაზ გოგონებს. დებიუტი კინოში შედგა, ეს გახლდათ მ.რომის ფილმი „პიშკა“. შემდეგ გადაიღეს სხვა ფილმებშიც. რეჟისორები ლუკოვი, სადკოვიჩი მასზე შეყვარებულნი იყვნენ. ისევე, როგორც ემილ მილელსი, პ.ალეინიკოვი და სხვა, მეგობრობდა ასეევთან, ზოშჩენკოსთან, ახმეტოვასთან, პასტერნაკთან.

ქორწინებამ მწერალთა კავშირის მდივანთან, სტალინური პრემიის ლაურეატთან ბორის გორბატოვთან ტატიანა ნომენკლატურული ცხოვრების არენაზე გაიყვანა. მაგრამ არ ემხრობოდა ჯგუფურ და პარტიულ ინტერესებს, უბრალოდ, ლამაზი ქალის ცხოვრებით ცხოვრობდა. მრავალ მსხვილ ჩინოვნიკთან შეეძლო ეთქვა, რომ „ჩვენთან ფაშისტური რეჟიმია“. დღიურებში წერდა, რომ „ჩვენ განმათავისუფლებლები კი არა, ოკუპანტები ვართ“.

თაყვანისმცემლებს შორის იყო უკრაინაში ერთ-ერთი მინისტრის მოადგილე. იგი გატაცებული იყო მოსკოვში იუგოსლავიის ელჩით — ვლადო პოპოვიჩით. იგი ხვდებოდა აგრეთვე ნურუს ძმიშვილს, რომელიც იყო ინდოეთის საელჩოს თანამშრომელი. იგი უყვარდა თვით მარშალ ტიტოს თავდავიწყებით, რომელიც პირდებოდა იუგოსლავიაში საკუთარი კინოსტუდიის აშენებას და შავი ვარდის თაიგულებს...

ოკუნევსკაია ორჯერ იყო ბერიას სახლშიც. პირველად ვითომ კონცერტზე,

რომელიც არ შედგა, და მასპინძელმა იგი გააუპატიურა, მეორედ კი ყოველგვარი მიზეზის გარეშე მიიყვანეს. და როცა ბერიას ადიუტანტს უკან მიჰყავდა, ტირილისგან დასიებულ თვალებს ვერ მალავდა.

მერე კი იყო „კანონზომიერი“ შედეგი — იგი გამოაცხადეს ჯაშუშად, ქმარი არ ნახულობდა, ნაცნობებმა დაივიწყეს. ამას მოყვა სტალინის ბარაკებში გატარებული 6 წელიწადი. დღეს იგი 80-ზე მეტისაა, მაგრამ 60-საც ვერ მისცემთ. ჩამოსვლის შემდეგ დაიწყო წერა და ვიმედოვნებთ, რომ არაფერი შეუშლის ხელს, დაამთავროს მოგონებათა წიგნი „ტატიანას დღე“.

პოლიტიკური ჭორები

*

ყოფილი ინგლისის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის ვაჟიშვილმა წინა კვირას სამხრეთ აფრიკის მოქალაქეობა მიიღო და სამუდამო საცხოვრებლად გადავიდა აფრიკაში, სადაც მის ოჯახს ერთ მილიონ დოლარად შეფასებული უძრავი ქონება გაანია.

*

ირაყის პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის ქალიშვილმა რაგდამ ამ რამდენიმე დღის წინ სიცოცხლის თვითმკვლელობით დამთავრება სცადა. საქმე იმაშია, რომ რაგდა და მისი და რანა ცოტა ხნის წინ მამის ხელშეწყობით დაქვრივდნენ. სადამ ჰუსეინმა თავისი ორი სიძე მოტყუებით გამოასალმა სიცოცხლეს. თუმცა არ დაავიწყდა მანამდე გაეფორმებინა ქალიშვილების განქორწინება.

*

სურათზე გამოსახული უწყინარი ხანშიშესული მამაკაცი იტალიელი დიქტატორის ბენეტო მუსოლინის შვილიშვილია. 59 წლის გვიდო მუსოლინი უკვე ოცი წელიწადია რაც რომში ყველის მწარმოებელ ქარხანაში უბრალო მუშად მუშაობს. ამაზე იტყვიან, დრონი მეფობენ და არა მეფენი.



მე-11 კლასის მოსწავლეების, აბიტურიენტებისა და ქართული ლიტერატურის მასწავლებელთა საყურადღებოდ!

თბილისის საგაზეთო ჯიხურებში იყიდება ნოდარ გრიგალაშვილის წიგნი „ნიკო ლორთქიფანიძე“, რომელშიც წარმოდგენილია მწერლის ბიოგრაფია და განხილულია ნიკო ლორთქიფანიძის საპროგრამო ნაწარმოებები.

წიგნის ფასია 1 ლარი

მთავარი რედაქტორი

ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

ფასი: 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
პასუხისმგებელი მდივანი:
93-18-41